# სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი სამშაბათი 12 თებერვალი 2008 №030 (3254) ფასი 50 თეთრი

# მწვრთნელმა უნდა თქვას!
## როგორ უნდა წაგვეგო ასე უშანსოდ?!

## არველაძემ ლატვია ორ გვარში ჩატია





### ტრაპი ისევ ჩამოვა

ჩვენი მეტოქე: ირლანდიამ თავი ნახა 4

### ძველ პრობლემებს ახალი დაემატა

რა ელის ქართულ წყალბურთს 13



### არნახული საქართველო

ლელოებმა რეიტინგში კანადა და რუმინეთი მოიტოვეს 14



ბადრი კეთილაძის ფოტო

„ზესტაფონმა“ იანვრის ბოლოს, სანამ თურქეთში წავიდოდა, საკმაოდ ხმაურიანი ტრანსფერი განახორციელა — თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ თავდამსხმელი **ნიკა გელაშვილი** გადაიბირა და შეკრებაზეც იახლა. სამწუხაროდ, გელაშვილმა „ბელეკის თასის“ მატჩში ბრაზილიურ „პტაკთან“ მძიმე ტრავმა მიიღო — ლავიწის ძვალი გაიტეხა. ნიკა ახლა თბილისშია და გუშინ შევეხმიანეთ...

# გელაშვილს უკნიდან ჩაარტყეს
## ოპერაცია თბილისში გაკეთდება

— ბრაზილიელი ფეხბურთელი ძალიან მეუხეშა — მეკარესთან პირისპირ გავდიოდი და უკნიდან საშინლად ჩამარტყა, ლავიწის ძვალი შუაზე გამიტყდა.

— პირველადი დახმარება თურქეთშივე გაგიწიეს...

— ფიქსირება გამიკეთეს დროებით. ახლა აუცილებლად მჭირდება ოპერაცია და რამდენიმე დღეში აქ გავიკეთებ.

— არადა, ცოტა ხნის წინ გადახვედი „ზესტაფონში“ და ალბათ ძალიან გულდაწყვეტილი ხარ, ამ სეზონში რომ ვერ დაეხმარები...

— საშინელებაა, რამდენიმე თვე უქმობა მომიწევს.

— კლაუს ტოპმიოლერმა კი ნაკრებშიც გიხმო...

— „პტაკთან“ ვითამაშებდი და საღამოს 8 საათზე უნდა გამოვფრენილიყავი... მაგრამ ასეთი ცუდი რამ დამემართა... რას ვიზამ, უნდა შევეგუო.

**ნუკრი ლოლაძე**

# მგლების მარცხიანი დილა



ზურაბ ხორგუაშვილი

ბადრი კეთილაძის ფოტო

**ზუგდიდის** „მგლებმა“ ქობულეთში შეკრება დაასრულა და შინ დაბრუნდა, მანამდე კი გორის „დილასთანაც“ გამართა ტესტ-მატჩი და 1:2 დამარცხდა.

მე-17 წუთზე დავით ქირიამ დააწინაურა მეგრელები, თუმც გორელებმა მეორე ნახევარში ორჯერ იხეირეს — ჯერ გიორგი მიქაძემ შეაგდო 59-ე წუთზე, გამარჯვების გოლი კი 67-ე წუთზე გიორგი წინამძღვრიშვილმა გაიტანა.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*მგლები: ივარდავა, ექონია, ზ. ქირია, ხუხია, მაჭავარიანი, კაკაბაძე, დ. ქირია, კ. გოგოხია, წურწუმია, კუტალია, კრასოვსკი.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ჭითანავა, კუჭუხიძე, ჯიშკარიანი, ქომეთიანი.*

*დილა: კეჩხუაშვილი, ტლაშაძე, ი. გვეტაძე, ბალიაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, საყვარელიძე, ნ. ნოზაძე, სულთანიშვილი, ვარდოსანიძე, გ. მიქაძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: გ. წინამძღვრიშვილი, იჩქითი, კიორვობიანი, ბერიანიძე, იმნაძე, რომელაშვილი, აბრამიშვილი.*

ზურაბ ხორგუაშვილის გუნდი დღეს ბოლნისის „სიონთან“ გამართავს საკონტროლო შეხვედრას, 14-ში კი — თბილისის „მერანთან“.

**ნუკრი ლოლაძე**

# ვიტელების ბელარუსერია
## მუმლაძემ ყველაშვილი დაიმატა

**თბილისის** „ვიტ ჯორჯია“ თურქულ შეკრებას აგრძელებს და მეორე საკონტროლო მატჩის გამართვაც მოასწრო.

სანამ ვეტერინარები ბრესტის „დინამოს“ შეხვდებოდნენ, მანამდე შევსებაც მოასწრეს — „ვიტ ჯორჯიაში“ სეზონის ბოლომდე ამირან ყველაშვილი ითამაშებს.

22 წლის ყველაშვილი მოლდოვური „შერიფის“ საკუთრებაა, თუმცა საქართველოს ჩემპიონატის პირველი წრე „ბორჯომში“ გაატარა, ახლა კი „ვიტ ჯორჯიაში“ ერთი წლის განმავლობაში ითამაშებს — მოლდოვურ კლუბთან ასეთი შეთანხმებაა.

რაც შეეხება ბელარუსებთან მატჩს, 0:0 დასრულდა. ჩვენებურებს უპირატესობა ჰქონდათ და, ისევე როგორც წინა მატჩებში, საგოლე მომენტები ამჯერადაც ვერ გამოიყენეს — ირაკლი კლიმიაშვილმა და ჯაბა ლიპარტიამ ასპროცენტიანი შანსები გაანიავეს.

ერთიც: მცირე ტრავმა აწუხებს ზაზა სახოკიას, თუმცა ვარჯიში დღეიდან უნდა განაახლოს.

ნესტორ მუმლაძემ ბელარუსებთან გუნდი ასეთი შემადგენლობით ათამაშა: *ბედიაშვილი, ბეჭვაია, დ. ლომაია (ყველაშვილი 46), ა. კვახაძე, ჯაფარიძე, რაზმაძე, გ. დათუნაიშვილი, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე (მაისაშვილი 46), ლუჭაშვილი (ლიპარტია 72), ბ. ცხადაძე (ბერიაშვილი 54).*

„ვიტ ჯორჯია“ მორიგ საკონტროლო მატჩს 14 თებერვალს ასევე ბელარუსულ გროდნოს „ნემანთან“ გამართავს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**



ბადრი კეთილაძის ფოტო

# მაღაროელი უმაღლეს ლიგას ევარჯიშება
## სად უმასპინძლებს ჭიათურა თასს?

**გუშინ** „ბათუმმა“ კიდევ ერთი ტესტ-მატჩი გამართა. ზღვისპირეთს ჭიათურის „მაღაროელი“ ესტუმრა და მასპინძლებთან 3:1 იმარჯვა.

ბათუმელთა მწვრთნელმა ავთანდილ კუნჭულიამ ახალგაზრდებს მისცა თავის გამოჩენის საშუალება, თუმცა ეს პირველლიგელი „მაღაროელის“ წარმატებას ვერ დააკნინებს — ჭიათურელებმა ამ სეზონში უკვე მერამდენე უმაღლესლიგელს სძლიეს და საქართველოს თასის მეოთხედფინალშიც არიან.

თავიდან მასპინძლები დაწინაურდნენ — 35-ე წუთზე ლევან მახარაძემ გაიტანა. მეორე ნახევრის დასაწყისში გიორგი სეფერთელაძემ პენალტით გაათანაბრა; მე-60 წუთზე კი რევაზ ჩელებაძის ვაჟმა, გიორგიმ პენალტი გააცუდა და „ბათუმიც“ მალე დაისაჯა — მიშველაძემ ხუთ წუთში გაიტანა, 82-ე წუთზე კი ზაურ ხაჭიპერაძემ მესამეც მიაყოლა.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

*ბათუმი: ი. დევაძე, ზაქარეიშვილი, ა. ბაჯელიძე (კაკაბაძე 46), ლ. მახარაძე (ჩარძმავა 75), ბ. მახარაძე, ბეჟანიძე, ცანავა, მაკარიანი, ოქრუაშვილი (ვ. თურმანიძე 46), ტულუში, გ. ჩელებაძე*

*მაღაროელი: მამარდაშვილი, ბიბილაშვილი, გ. ბრეგვაძე, შუკაკიძე, ეგაძე, მ. ჩხარტიშვილი, ი. ზაბახიძე, ი. ტყებუჩავა, სეფერთელაძე, სევასტოპულო, ხაჭიპერაძე.*

*შეცვლაზე შევიდნენ: ბადურაშვილი, ჯაჯანიძე, მ. სამხარაძე, მგელაძე, გაფრინდაშვილი, მიშველაძე, ცუცქირიძე.*

ჭიათურელები 13 თებერვალს ქუთაისში „ტორპედოს“ გაეჯიბრებიან ამხანაგურად, 17-ში კი საქართველოს თასის მეოთხედფინალის პირველ შეხვედრას ჩაატარებენ თბილისის „ამერთან“.

ვინაიდან ჭიათურაში დიდი თოვლია, მოსალოდნელია, ეს მატჩი სხვა ქალაქში ჩატარდეს. თუ სად, ამას მალე შევიტყობთ...

**ნუკრი ლოლაძე**

# ამერი — ჩიხურა: ბრძოლა უგოლოდ

**ამერი 0:0 ჩიხურა**

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, მესხი, დავითნიძე, ჩიკვილაძე (ელბაქიძე 61), დიდავა, დობროვოლსკი (კაკაშვილი 63), დეკანოსიძე (ხუციძე 73), სილაგავა, დოლიძე (შალამბერიძე 64), რ. გოცირიძე, ს. დავითაშვილი (ჩიმაკაძე 61)

**მწვრთნელი:** გიორგი ჩიხრაძე

**ჩიხურა:** მწყერაშვილი, მაჭარაშვილი, რ. ბარაბაძე, ხურცილავა, ზივზივაძე, როგავა (ჩიკვაიძე 60), ჭილლაძე (ჭიტაძე 87), ნოზაძე, დოლონაძე, მ. მიქაძე, პეტრიაშვილი (ენუქიძე 85)

**მწვრთნელი:** სოსო ფრუიძე

**მსაჯი:** გ. კიკაჩეიშვილი



ბადრი კეთილაძის ფოტო

„ამერმა“ მორიგი ტესტ-მატჩი გამართა და ზედიზედ მეორე ფრე ითამაშა პირველლიგელ გუნდთან.

ორიოდ დღის წინ „ყვითლები“ „გაგრას“ თუ დაუზავდნენ (3:3), ამჯერად კი საჩხერის „ჩიხურას“ უგოლოდ გაეყარნენ.

მატჩი დიდად საინტერესო ვერ გამოდგა — მძიმეგრუნტიანი მოედნის გამო მეტწილად ორთაბრძოლები იყო, სახიფათო მომენტები კი აქა-იქ თუ შეიქმნა...

გატანა თბილისელებსაც შეეძლოთ და საჩხერელებსაც — „ამერი“ ლადო ნადირაშვილმა გადაარჩინა, „ჩიხურა“ კი თენგიზ ჩიკვილაძის ოდნავ უზუსტო დარტყმამ დატოვა მშრალად.

სხვა საინტერესო ის იყო, რომ „ამერს“ გამოჯანმრთელებული მწვრთნელი გიორგი ჩიხრაძე და ტრავმამოშუშებული ნახევარმცველი გრიგოლ დოლიძე დაუბრუნდნენ.

**კახა შალამბერიძე**

# მერანი ზღვაზე წავიდა

**თბილისის** „მერანის“ მთავარმა მწვრთნელმა დავით ეჯიბიშვილმა ამას წინათ „სარბიელს“ უთხრა, შესაძლოა, ზღვისპირეთში წავიდეთ შეკრებაზეო და ასეც მოხდა.

„მერანი“ 10 თებერვალს გაემგზავრა ქობულეთში და იქ ათ დღეს დარჩება. თბილისელებმა ტესტ-მატჩებიც დაგეგმეს: 14 თებერვალს გორის „დილასთან“ ითამაშებენ, 16-ში — ბოლნისის „სიონთან“, 18 თებერვალს კი — „ბათუმთან“.

**ნუკრი ლოლაძე**

### ინგლისი
პრემიერლიგა. XXVI ტური

არსენალი 2:0 ბლეკბერნი

### საფრანგეთი
II დივიზიონი. XXIII ტური

ბრესტი 1:2 ნანტი

### იტალია
სერია C1/A

XXIII ტური

ჩიტადელა 0:2 ფოჯა

### შოტლანდია
ასოციაციის თასი

მერვედფინალი

მოზერუელი 1:2 დანდი

### გერმანია
მეორე ბუნდესლიგა

XIX ტური

ალემანია 3:2 კიოლნი

### ამხანაგური მატჩები
ვიპრენი 2:2 ცრვენა ზვეზდა

შახტარი 2:2 (4:23) ნორდსიელანდი

ნალჩიკი 3:1 ლილესტრიომი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნიჭი მატყუარაა

## როგორ წავაგეთ ლატვიასთან ასე უშანსოდ?!

## კლაუს ტოპმიოლერი არ უნდა გაჩუმდეს: უნდა ილაპარაკოს!

ათ დღეში შოთა არველაძე 35 წლის გახდება და ამ ასაკში ერთხელაც ითამაშებს ეროვნულ ნაკრებში, მაგრამ ეს იქნება მისი ბოლო მატჩი. ქართველ ბომბარდირს გუშინ რომ დავუკავშირდით, გვითხრა, გამოსამშვიდობებელი თამაში მინდა, ეს კლაუს ტოპმიოლერმაც იცის და მართალია, წლეულს თბილისში არ გვაქვს ამხანაგური, რამეს აუცილებლად მოვახერხებთო...

ქართული ფეხბურთი და საქართველოს ნაკრები ყველაზე მეტად გვტკივა, ლატვიასთან წაგებამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ მძიმე დღეში ვართ. შოთასაც გუშინ მეტწილად ამ პრობლემებზე ველაპარაკეთ — საინტერესო საუბარი გამოგვივიდა. მანამდე კი პირად ამბებზე და „ლევანტეზე“...



## ადრე ამაზე დამცინოდნენ

## შოთა არველაძის ბევრი კითხვა და ბევრი მიზეზი

— ესპანეთის ჩემპიონატში სეზონის ნახევარზე მეტი გაილია, მაგრამ ერთი მატჩიც ვერ ითამაშე. როგორაა ჯანმრთელობის ამბავი?

— მუხლი ისევ მახსენებს თავს. კი ვვარჯიშობ გუნდთან ერთად, მაგრამ სრულად დატვირთვას ვერ ვახერხებ. მაინცდამაინც არც ვიკლავ თავს, არიქა, მალე ვითამაშომეთქი როცა ექიმები დამრთავენ ნებას, მერე...

— და რას გეუბნებიან ექიმები, დაახლოებით როდის შეძლებ თამაშის დაწყებას?

— ჯერ ვერაფერს მეუბნებიან. ამ მუხლმა გამაწამა... იმედია, რამდენიმე მატჩში თამაშს მაინც მოვასწრებ.

— „ლევანტეს“ შენი და სხვა ფეხბურთელების მიმართაც დავალიანება აქვს და სასამართლოში გიჩივლიათ. რაიმე გამოსწორდა ამ მხრივ?

— სიმართლე გითხრათ, მე მაინცდამაინც გარკვეული არ ვარ. კლუბმა ქალაქის მერიას გაუგზავნა წერილი, რათა მათ კრედიტი გასცენ. ჩვენ ხელფასებს კი ვიღებთ, მაგრამ სამ თვეში ერთხელ ან უკეთეს შემთხვევაში, ორ თვეში ერთხელ. მოკლედ, თანხა არ გვეკარგება...

— ისე, „ლევანტემ“ ნაახალწლევს სამი ტური წაუგებლად გაიარა, გუშინ კი „ბილბაოსთან“ დამარცხდა...

— არც გუშინ უთამაშიათ ცუდად, მაგრამ... სუსტი გუნდია „ლევანტე“, წლეულს ვერაფერი უშველის.

— შენ რას აპირებ სეზონის ბოლოს?

— რაღაც გეგმები კი მაქვს, მაგრამ ჯერ გადაწყვეტილება არ მიმიღია. სეგუნდადივიზიონში რომ არ გადავყვები „ლევანტეს“, ეგ ნაღდად ვიცი.

— ნაკრებზეც ვილაპარაკოთ. ლატვიასთან ამხანაგურ თამაშს, ალბათ, უყურე...

— აქედან ადვილია რამის თქმა, მაგრამ ფაქტია, ვერ არის საქმე კარგად. ამდენი წელია, ვთამაშობ და ლატვიურ ფეხბურთში მხოლოდ ორი გვარი ვიცი: მწვრთნელი ჰყავთ სტარკოვსი და ადრე პახარსს გაჰქონდა გოლები. სხვები არ ვიცი... როგორ უნდა წაგვეგო მათთან ასე უშანსოდ?!

— ბევრი უკმაყოფილოა, რომ კლაუს ტოპმიოლერი ნაკრებში არ იძახებს ზურაბ ხიზანიშვილს და კიდევ რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელს...

— ხიზანიშვილთან დაკავშირებით ტოპმიოლერმა თქვა, უდისციპლინობის გამო არ გამოვიძახეო. ანუ რაღაც მოხდა და გასაგებია, რომ მწვრთნელს მიზეზი ჰქონდა. იაშვილზე კი არ იძახის, რატომ არ ჰყავს ნაკრებში — უნდა თქვას! თავის დროზე გაიოზ დარსაძე მე არ მიძახებდა, მაგრამ რატომ, არ ამბობდა. ეს უთქმელობა არ ვარგა, სიტუაცია გახსნილი უნდა იყოს! კი, 17-18 წლის ნიჭიერი ბავშვები გვყავს, მაგრამ მათზე თამაშის აწყობა გამორიცხულია, ვერ ზიდავენ ამდენ ტვირთს, მარტო კალაძის და ასათიანის კისერზე კი შორს ველარ წავალთ.

— ნაკრების სამზარეულოში მთლად დალაგებული სიტუაცია არ არისო, ამაზე უკვე ხმამაღლა საუბრობენ...

— ასე იძახდნენ ადრეც, მაგრამ არა მგონია, მართალი იყოს. დაჯგუფებები გამორიცხეთ. დალაგებული სიტუაცია არ არისო, ალბათ, თამაშს გულისხმობენ და ასეცაა — დალაგებული რომ იყოს, ლატვიასთან პირველ ტაიმს 0:3 წავაგებდით?!

— და შენი აზრით, რამდენად სწორი გადაწყვეტილებაა ტოპმიოლერისთვის კონტრაქტის ორი წლით გახანგრძლივება?

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აქვს თავისი არგუმენტები, კერძოდ, ტოპმიოლერმა უკვე 24 მატჩში გაწვრთნა ნაკრები და სხვებზე მეტი ინფორმაცია უკვე აქვს. მაგრამ კითხვებიც ჩნდება: რატომ თამაშობს გოგიტა გოგუა ხან მარცხენა და ხან მარჯვენა გარემარბად, როცა ეს მისი ადგილი არ არის?! რატომ ვტანჯავთ ლევან მჭედლიძეს ფლანგზე, როცა ცენტრფორვარდია და ამ პოზიციაზე გოლიც გაიტანა?! აგერ, „ლევანტეში“ დამიანო ტომაზის ავალებენ, გამთამაშებელი უნდა იყოო, მაგრამ ის ცხოვრებაში არ ყოფილა გამთამაშებელი და ამ ფუნქციას კარგად ვერ შეასრულებს. და კიდევ, მარტო ჯანი და ნიჭი არ არის საკმარისი გუნდის ასაშენებლად. ნიჭი მატყუარაა.

— სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი იწყება, მანამდე ჯერ მაინც დროა და, როგორ ფიქრობ, შეუძლია საქართველოს, ასე თუ ისე, წარმატებული ნაკრები ჰყავდეს?

— დროც არის და შეუძლია კიდეც. ამდენი ამხანაგური მატჩია ძლიერ გუნდებთან და ფედერაცია მართლაც კარგად მუშაობს: ადრე იყო განჯა-აზერბაიჯანი, ტალინი-ესტონეთი... სხვაგან ამხანაგურებს ვერ ვთამაშობდით. ყველაფერს მნიშვნელობა აქვს. ადრე რომ ვიძახდი, მინდორი არ გვივარგა, ბაზაზე საფარია დასაგები და კიდევ ამისთანებიო, დამცინოდნენ, ეგ რა მიზეზებიაო...

**ილია ნანობაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრაპი ისევ ჩამოვა

## ირლანდიამ თავი ნახა



**ირლანდიის** ფეხბურთის ასოციაციამ ეროვნული გუნდის თავკაცის ძიებაში თითქმის მთელი მსოფლიო მოიარა. ბოლოს საქმე იქითკენ მიდიოდა, რომ „სამყურათა" მწვრთნელი ინგლისელი ტერი ვენეიბლზი უნდა ყოფილიყო, თუმც...

გუშინ ასოციაციის ხელმძღვანელები 68 წლის იტალიელ სპეციალისტ ჯოვანი ტრაპატონის შეხვდნენ, ვისგანაც თანხმობა მიიღეს და მხოლოდ ფორმალური მხარეა მოსაგვარებელი. ის კი ცნობილია, რომ ტრაპი წელიწადში 2 მილიონ ევროს მიიღებს.

იტალიის ნაკრების ექს-მწვრთნელი, ვისაც „სკუადრა აძურა" თბილისშიც ჰყავდა ჩამოყვანილი, ამჟამად ავსტრიულ „ზალცბურგში" მუშაობს, თუმც კონტრაქტი მაისის ბოლოს უმთავრდება და, სავარაუდოდ, ამის შემდეგ შეუდგება ჩვენი მეტოქის გაწვრთნას.



ერთი თვეა, კახა ცხადაძე აზერბაიჯანული „სტანდარდის" მწვრთნელად დაინიშნა, გუნდი თურქულ შეკრებაზეც წაიყვანა და ხელიც დაატყო. საკონტროლო მატჩები კარგად ჩაატარა — ოთხიდან მხოლოდ ერთი წააგო, ისიც ქართველის გოლით: პოლტავის „ვორსკლას" თავდამსხმელმა ლაშა ჯაკობიამ ბოლო წუთზე გაუტანა. სხვათა შორის, პოლტაველთა მწვრთნელმა ნიკოლაი პავლოვმა განაცხადა, ჩვენი მეტოქეებიდან ყველაზე გამართულ ფეხბურთს „სტანდარდი" თამაშობდაო. „სტანდარდი" აზერბაიჯანის ჩემპიონატში მე-11 ადგილზეა და გასავარდნ ზონასთან უფრო ახლოსაა, ვიდრე ლიდერებთან, თუმცა ცხადაძეს არ ეშინია, რომ მის გუნდს რაიმე პრობლემები შეექმნება, პირიქით — იმედიანადაა...

# ყენიას ასაუერმაც უყურა



**გერმანიის** 19-წლამდელთა ბუნდესლიგა განახლდა და ქართველებმაც ითამაშეს: დავით თარგამაძის „ფრაიბურგი" შინ „შტუტგარტერ კიკერსს" 1:1-ზე გაეყარა, ქართველმა ჭაბუკმა კი 90 წუთი იბურთავა, ოღონდ არა მარცხენა ნახევარმცველად, არამედ უკანდაწეულ ფორვარდად.

თარგამაძის გუნდი თავის ზონაში მეორე ადგილზეა.

ლევან ყენიამ და „შალკეს" 19-წლამდელებმა კი „ლევერკუზენის" თანატოლები 8:2 გაანადგურეს.

უცნაურია, მაგრამ 17 წლის ქართველს გოლი არ გაუტანია, სამაგიეროდ, ორი საგოლე პასი გააზერხა.

ჰო, ამ თამაშს „შალკეს" ცნობილი გენერალური მენეჯერი რუდი ასაუერიც ესწრებოდა.

„ხუმარები" მეოთხე ადგილზე არიან.

**ილია ნანოზაშვილი**

# სად არის კვირკველია?

**საქართველოს** ეროვნული ნაკრების მარცხენაფლანგელი დავით კვირკველია ზაპოროჟიეს „მეტალურგიდან" დონეცკის „მეტალურგში" რომ გადადის, ადრეც ვწერდით.

საქმე თითქმის გაჩარხულია, თუმცა კონტრაქტის გაფორმებას ოფიციალურად ჯერ არავინ ადასტურებს.

უკრაინული პრესა კი აცხადებს, რომ კვირკველიას დონეცკში გადაბარგება დღეების ამბავიაო, თუმცა აქვე ისიც ძალიან საინტერესოა, რომ ზაპოროჟიელთა ბოლო ვარჯიშებზე ქართველი ფეხბურთელი არ გამოჩენილა და არც ამის მიზეზი უთქვამს ვინმეს.

და კითხვა: სად არის კვირკველია?

**კახა შალამბერიძე**

# აზერბაიჯანში ცხადაძის ხელი უკვე დაინახეს

„სატურნირო მდგომარეობიდან გამომდინარე, შეუძლებელს ნუ მომთხოვთ. არ მეშინია იმის თქმა, რომ სამეულში ვერ შევალთ, თუმც ყველა თამაშზე მოსაგებად გავალთ — ეს იქნება ჩვენი ამოცანა მეორე წრეში. ამისთვის კი საჭიროა, გუნდი კარგად მოემზადოს და ყოველი მატჩისთვის ფსიქოლოგიურად კარგად განეწყოს".

გუნდის მოსამზადებლად და გასაძლიერებლად ცხადაძემ გარკვეული კორექტივები უკვე შეიტანა — „სტანდარდში" რამდენიმე ახალი ფეხბურთელი გამოჩნდა.

„სანამ მწვრთნელად დავინიშნებოდი, „სტანდარდის" მატჩების ჩანაწერები მქონდა ნანახი. ყველაზე მეტად გუნდს საყრდენი ნახევარმცველი სჭირდებოდა და ამ პოზიციაზე ოსვალდო მოვიწვიეთ. ორი ახალი თავდამსხმელიც გვყავს — გუტიერესი და როდრიგესი, ერთიც მცველი — ლუკაშევიჩიუსი. ყველა მათგანი გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია. მათით და მთლიანად გუნდის თურქული შეკრებით კმაყოფილი ვარ. საკონტროლო მატჩები ძლიერ მეტოქეებთან გვქონდა. ერთია, მარიუსი ტრავმით დაგვიბრუნდა".

ცხადაძე ჩასვლისთანავე შეჰპირდა აზერბაიჯანელებს, რომ გუნდის სათამაშო სქემას აუცილებლად შეცვლიდა და ასეც მოიქცა.

„ერთ თვეში რაც შემეძლო, გავაკეთე, თუმცა სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. ასეთ მოკლე დროში ყველა პრობლემის გადაჭრა შეუძლებელია. პირველ რიგში ტაქტიკური სქემა გადავაწყვე — „სტანდარდი" 4-4-2 სქემით თამაშობს. გუნდი მომწონს, ფეხბურთელები კეთილსინდისიერად მუშაობენ, რაც მთავარია, აზროვნებენ და ჩემი მოთხოვნები ესმით. მათთან მუშაობა ადვილია".

ცხადაძე „სტანდარდში" ყველა ფეხბურთელს ერთნაირად უყურებს და რომელიმე გამორჩეული ფეხბურთელი არ ჰყავს...

„ჩემთვის ყველა ერთნაირია. საერთოდ, ვთვლი, რომ მწვრთნელს მეგობარი ფეხბურთელები გუნდში არ უნდა ჰყავდეს".

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# კანკავამ და ჯაკობიამ საგოლედ ჩამოარიგეს




**დნეპროპეტროვსკის** „დნიპრო" მორიგ შეკრებას კვიპროსზე გადის და თან ორი ქართველი, ჯაბა კანკავა და სანდრო კობახიძე ახლავს.

„დნიპრომ" პირველი კვიპროსული ტესტ-მატჩიც გამართა და 4:1 დაამარცხა პოლონური „კრაკოვი".

კანკავამ სრულად ითამაშა და მესამე გოლი სერგეი ნაზარენკოს მან გაატანინა.

ერთის გატანა თავადაც შეეძლო — მეკარის უხერხულად მოგერიებული ბურთი შორიდან ცარიელ კარში გადაგზავნა, თუმც მცირედით ააცილა.

რაც შეეხება იუბილარ კობახიძეს, დნიპროელთა მწვრთნელმა ოლეგ პროტასოვმა მისი თამაში საჭიროდ არ ჩათვალა.

პოლტავის „ვორსკლა" კი თურქულ შეკრებაზეა და საკონტროლო მატჩში პოლონური „იაგელონია" 2:1 დაამარცხა.

ლაშა ჯაკობია მოედანზე მეორე ტაიმში შევიდა და დესპოტოვსკის გამარჯვების გოლი გაატანინა — მარჯვენა ფლანგზე სამი ფეხბურთელი მოატყუა და ზუსტი პასიც ამის შემდეგ გააკეთა.

ლაშას თავადაც ჰქონდა ორი ხელსაყრელი მომენტი, მაგრამ ველარ გამოიყენა.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ბოლქვაძემ ამერიდან გოლიც გაიყოლა

**ზაქათალის** „სიმურგმა" საქართველოში შეკრება დაასრულა და ჩემპიონატისთვის მზადებას ახლა აზერბაიჯანში აგრძელებს.

საქართველოდან გუნდს ამერელი დავით ბოლქვაძეც გაჰყვა და აზერბაიჯანში პირველივე საკონტროლო მატჩში გოლითაც გამოირჩა.

მინგეჩაურში „სიმურგი" ამხანაგურად „გაბალას" გაეჯიბრა — ზაქათალელები 0:1-ს აგებდნენ, თუმც ჯერ ვლადიმირ მაზიარმა გაიტანა, მერე კი ბოლქვაძემ გამარჯვებისა შეაგდო.

ეს ბოლქვაძის მეორე სიმურგული გოლია — პირველი საქართველოში, ცხინვალის „სპარტაკს" გაუტანა.



**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# ასათიანი მუჯირს შეუამხანაგდა

**ლატვიასთან** მატჩის შემდეგ მალხაზ ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივს" დაუბრუნდა. ჩვენებური მცირე ტრავმის გამო გუშინდლამდე რკინიგზელთა ვარჯიშებს მხოლოდ თვალს ადევნებდა, გუშინ კი თავადაც შეუერთდა.

ასათიანს ჟურნალისტები დავით მუჯირის „ლოკომოტივში" გადასვლის თაობაზეც შეეკითხნენ...

— მოხარული ვარ, რომ მუჯირი ჩვენთან ითამაშებს. დათო ძლიერი ფეხბურთელი და კარგი მეგობარია. ეჭვიც არ მეპარება, რომ იგი მალე შეეწყობა ახალ გუნდს.

— ეხმარებით მუჯირს ადაპტაციაში?

— შეძლებისდაგვარად, თუმცა, ვფიქრობ, თავადაც კარგად გაართმევს თავს.



**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ინტერი და მსაჯები



რობერტო მანჩინი

**მილანის „ინტერის"** გარშემო კვლავ გაურკვევლობაა. „ნერაძური" „კატანიასთან" დაძაბულ მატჩში 64-ე წუთზე ესტებან კამბიასოს გოლით დაწინაურდა. არადა, არგენტინელი თითქოს აშკარა თამაშგარეში იყო. ამას მალევე დავიდ სუასოს მეორე გოლიც მოჰყვა და რობერტო მანჩინის შეგირდებმა საბოლოოდ 2:0-იც მოიგეს, თუმცა მსაჯმა სტეფანო ფარინამ მათ სასარგებლოდ რამდენიმე საკამათო გადაწყვეტილება მიიღო.

„თუ კამბიასო მართლაც თამაშგარეში გახლდათ, ეს ძალიან ძნელი დასანახი იყო. ასე რომ, მსაჯების კრიტიკა გადამეტებული მეჩვენება. ასევე არანაირად არ ვეთანხმები იმ აზრს, რომ ჩვენ კრიზისში ვართ. „რომას", „იუვენტუსისა" და „მილანის" თამაშებიც ვნახე, მათაც გაჭირვებით იმარჯვეს. რას ვიზამთ, სერია A რთული ჩემპიონატია. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ბევრი ფეხბურთელი ტრავმის გამო გვაკლდა, ზოგიც დავასვენეთ, რადგან ჩემპიონთა ლიგაში „ლივერპულის" წინააღმდეგ გვინდა ყველა გვყავდეს" — თქვა მანჩინიმ.

„კატანიას" თავკაცი სილვიო ბალდინი: „ასეთი შეცდომები ფეხბურთში ჩვეულებრივი ამბავია. უნდა შევეგუოთ, თორემ ყოველ კვირას მოგვიწევს დავა და კამათი. თუმცა ისიც მესმის, რომ ჩემი შეგირდები, კლუბის უფროსობა და ფანები ამ მატჩის შემდეგ მშვიდად ვერ იქნებიან, რადგან შეხვედრა მსაჯის შეცდომის გამო წავაგეთ. თუმცა ჩვენი შანსები რომ გამოგვეყენებინა, ვინ იცის, რა მოხდებოდა. თანაც მეტოქემ გოლები არაფრისგან გაგვიტანა".

აღსანიშნავია ისიც, რომ მსაჯმა ფარინამ მინდორი ისე დატოვა, „ტერცო ტემპოს", ანუ დამარცხებული და გამარჯვებული გუნდების მიერ ერთმანეთისთვის გაკეთებულ დერეფანს არც დასწრებია.

„დავინახე, თუ როგორ დატოვა მინდორი ფარინამ. არ ვიცი, რატომ მოიქცა ასე, მაგრამ დაველოდები სტეფანოს ახსნას" — განაცხადა მსაჯების ასოციაციის შეფმა ჩეზარე გუსონიმ.

„ყოველთვის ადვილი არ არის „ტერცო ტემპოს" წესების დაცვა, მაგრამ მსაჯი სხვებისთვის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს. ამიტომ ფარინას თავისი გადაწყვეტილების ახსნა მოუწევს. მისი, როგორც ადამიანის, გვესმის, მაგრამ..." — აღნიშნა არბიტრების ასოციაციის წარმომადგენელმა სერჯო კამპანამ.

**ქოქი ქანდელაკი**

# დაჩაგრული უდინეზე

**ტურინის** „იუვენტუსის" მწვრთნელ კლაუდიო რანიერის ძალიან ახარებს ის, რომ მისმა გუნდმა მეორე ტაიმში თამაში შემოუბრუნა „უდინეზეს" და საბოლოოდ 2:1 იმარჯვა. არადა, უდინელები მშვენივრად გამოიყურებოდნენ.

„ეს მატჩი კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ საოცრად მებრძოლი სული გვაქვს. პირველ ტაიმში სერიოზული პრობლემები გვქონდა, მაგრამ მერე თამაში გამოვასწორეთ და ვიმარჯვეთ. „უდინეზე" მხოლოდ ქებას იმსახურებს, რადგან ბრწყინვალე გუნდია და კარგ ფეხბურთს თამაშობს. რაც შეეხება ვინჩენცო იაკვინტას, მან მინდორზე შესვლისთანავე გამარჯვების გოლი გაიტანა, რაც ძალიან მახარებს. კლუბს ჰყავს ასეთი მოთამაშეები, რომელთა იმედიც ყოველთვის შეიძლება გქონდეს. კმაყოფილი დავრჩი ტრავმების შემდეგ ჯანლუიჯი ბუფონის, ჯორჯო კოლინის, მაურო კამორანეზისა და ჯონათან ძებინას თამაშიც" — თქვა რანიერიმ.

„უდინეზეს" მწვრთნელი პასკუალე მარინო: „დიდ მადლობას ვუხდი რანიერის ჩემი კლუბის შექებისთვის, მაგრამ უფრო კმაყოფილი დავრჩებოდი, 3 ქულა რომ მოგვეპოვებინა, მით უმეტეს, რომ მოგება დავიმსახურეთ. სხვაობა ჩვენს შორის ის იყო, რომ ჩვენ ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, „იუვემ" კი ფაქტობრივად ორივე რეალური შანსით იხეირა. მსაჯობაზეც უნდა ვთქვა: ჯორჯო კიელინი აშკარად ეუხეშა ფაბიო კვალიარელას, ამ დროს კი გაფრთხილება ფაბიოს მისცეს, რის გამოც იგი შემდეგ მატჩს გამოტოვებს".

**გიორგი ქაქაბაძე**

# პალოსკის გმირობა

**ბოლო** ორი დღეა, იტალიური სპორტული სამყარო „მილანის" ახალ ნორჩ ვარსკვლავ ალბერტო პალოსკიზე საუბრობს. 18 წლის ფორვარდი „სიენასთან" მატჩში მინდორზე 18 წამის შესული იყო, როცა გამარჯვების გოლი შეაგდო. აქამდე მან „როსონერის" რიგებში იტალიის თასზე ორჯერ ითამაშა და ამდენივე გოლი გაიტანა.



„რასაკვირველია, გამიმართლა კიდეც. ნამდვილად არ ველოდი, თუ ჩემს სადებიუტო მატჩშივე, თან ასე მალე გავიტანდი. „სან სიროზე" აქამდეც მითამაშია, იტალიის თასზე, მაგრამ მაშინ სტადიონზე მხოლოდ 5 ათასი ქომაგი იყო. ახლა კი უამრავი ტიფოზის თვალწინ მივაღწიე წარმატებას და ეს ძალიან მახარებს. ამ გოლს ჩემს ოჯახს ვუძღვნი, რომელმაც დიდი მსხვერპლი გაიღო, რათა მშობლიურ ქალაქ ბერგამოდან მილანში გადმოვეყვანე. ჩემს წინ რონალდო, ფილიპო ინძაგი, ალეშანდრე პატო და ალბერტო ჯილარდინო არიან. ამ ნამდვილი ჩემპიონებისგან ბევრი რამ უნდა ვისწავლო. ჩემი კერპი ინძაგია და მიხარია, რომ გატანილი გოლი მანაც მომილოცა" — განაცხადა პალოსკიმ.

„როსონერის" მთავარი მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „როგორც ჩანს, პალოსკის ამ შეხვედრაში გატანა ეწერა, რადგან იგი ვიარეჯოს ახალგაზრდულ ტურნირზე იყო და რომ არა შეტევაში ჩვენი კრიზისი, არც გამოვიძახებდით. ალბერტოს პირველ გუნდთან ერთად სამი ოფიციალური მატჩი აქვს ჩატარებული და ამდენივე გოლი გატანილი, რაც მის ნიჭზე მეტყველებს. თუმცა ახლა პალოსკის, პატოსი არ იყოს, ნორმალურად აღზრდის საშუალება უნდა მივცეთ".

„პალოსკი ძალიან ნიჭიერია. როგორც კი იგი მინდორზე შევიდა, ვთქვი, გოლს გაგვიტანს-მეთქი. ამიერიდან გავჩუმდები ხოლმე... ბევრი მომენტი ვერ გამოვიყენეთ, ერთხელ ხარიხასაც გავარტყით ბურთი და არ გაგვიმართლა. არადა, მარცხს არ ვიმსახურებდით, ქულა მაინც გვეკუთვნოდა" — თქვა „სიენას" მწვრთნელმა მარიო ბერეტამ.

**ქოქი ქანდელაკი**



ჯანლუიჯი ბუფონი

# 18 წელი და 18 წამი

**არ გაგიკვირდებათ, თუ გეტყვით, რომ სერია A-ს 22-ე ტურის საუკეთესო მოთამაშე ალბერტო პალოსკი გახდა, „მილანის" 18 წლის ფორვარდი, რომელმაც მინდორზე შესვლის მერე ბურთთან პირველივე შეხებით მოუტანა „როსონერის" გამარჯვება „სიენასთან" შეხვედრაში. დანარჩენს channel4.com-ის ტრადიციული ჩანახატიდან გაიგებთ**

## გამარჯვებულები

***ალბერტო პალოსკი (მილანი)*** — ცოტა ვინმე თუ ელოდა, რომ მატჩის გმირი სწორედ ეს ბიჭი გახდებოდა. ზუსტი გამოთვლის შემდეგ გაირკვა, რომ პალოსკის 18 წამი დასჭირდა სერია A-ში თავისი დებიუტის ეფექტური გოლით აღსანიშნავად და ამით „როსონერის" მოაგებინა კიდეც.

***ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი)*** — „უდინეზესგან" გაშვებულ გოლს ზოგი მას აბრალებს. თანაც ტურინელებმა მაურო კამორანეზისა და ვინჩენცო იაკვინტას გოლებით მოიგეს, თუმცა რომ არა ჯიჯი, „იუვე" ალბათ წააგებდა. არ დაგვავიწყდეს, ბუფონი მხოლოდ 60-70 პროცენტით იყო მზად და თუ ასეთ მდგომარეობაში ამგვარი დარტყმები მოიგერია, რაღას იზამს სრულიად ჯანმრთელი ბუფონი?..

***დავიდე დი მიკელე (ტორინო)*** — მინდორზე 52-ე წუთზე შეუშვეს, როცა მისი გუნდი „პალერმოსთან" 0:1-ს აგებდა. ნიჭიერმა დი მიკელემ ყველაფერი თავდაყირა დააყენა, ჯერ საგოლე პასი გააკეთა, მერე კი ორი თავად შეაგდო.

## დამარცხებულები

***რონალდო (მილანი)*** — მან ვარჯიში მხოლოდ ოთხშაბათს განაახლა და „სიენასთან" ერთი ტაიმი ჩაატარა, მაგრამ უსუსურად გამოიყურებოდა. მის ნაცვლად მინდორზე შესულმა კლარენს ზეედორფმა კი „როსონერის" თამაში აშკარად გამოაცოცხლა.

***დავიდ ტრეზეგე (იუვენტუსი)*** — სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირია, მაგრამ „უდინეზესთან" 75 წუთის განმავლობაში ძალიან პასიური გახლდათ. მის ნაცვლად მინდორზე შესულმა ვინჩენცო იაკვინტამ კი გამარჯვების გოლი შეაგდო.

***რიკარდო მონტოლივო (ფიორენტინა)*** — ახალი ანდრეა პირლო? ჯერ ძალიან ადრეა მისი ასე შეფასება. თავის ყოფილ კლუბთან მატჩში საგოლე პასი კი გააკეთა, მაგრამ ბოლო წამებზე ბურთი სულელურად დაკარგა, რასაც „ატალანტას" მეორე გოლი მოჰყვა და „იებმა" სამი ქულა გაუშვეს ხელიდან.

## გოლები

***ალბერტო პალოსკი*** — კლარენს ზეედორფის დიდებული პასი პალოსკიმ მშვენივრად შეირგო და საჯარიმოს მისადგომიდან ლამაზი, ძლიერი და ზუსტი დარტყმით იხეირა.

***ჟედა (კალიარი)*** — როცა სარდინიელებმა შეიძინეს, იცოდნენ, რომ ტექნიკურ, დრიბლინგსა და გოლების გატანაში გამორჩეულ თავდამსხმელს ყიდულობდნენ. ჟედამ შორიდან ისეთი დაურტყა ლუკა ბუჩის, რომ გამოცდილი გოლკიპერი აბსოლუტურად უძლური აღმოჩნდა.

***იგლი ვანუკი (ემპოლი)*** — ერთ-ერთმა „პროვინციელმა ფანტაზისტამ", როგორც მას უწოდებენ, დაახლოებით 27-28 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით ბრწყინვალედ ჩაუხვია რომაელებს და ამ დარტყმით 3 ქულა მოუტანა ტოსკანელებს.

## რიცხვები

***სუპერშეცვლები:*** მილანელმა ალბერტო პალოსკიმ მინდორზე შესვლიდან 18 წამში შეუგდო გამარჯვების გოლი „სიენას", იუვენტუსელმა ვინჩენცო იაკვინტამ კი 14 წამში „უდინეზეს".

***ბებრების არმია:*** მილანელთა მხრიდან გამარჯვების გოლი 18 წლის ფეხბურთელმა კი გაიტანა, მაგრამ „სიენასთან" შეხვედრაში „როსონერის" მოთამაშეების საშუალო ასაკი 33 წელი იყო...

***7:0:*** „სამპდორია" საკუთარ კედლებში წარმატებულად თამაშს აგრძელებს. გენუელებმა „ნაპოლის" 2:0 სძლიეს და ეს არის მიმდინარე სეზონში მათი მეშვიდე მოგება „სტადიო ლუიჯი ფერარიზე". აღსანიშნავია, რომ ამ შვიდ მატჩში „სამპდორიას" ერთი გოლიც არ გაუშვია.

**გიორგი ქაქაბაძე**



ალექს ფერგიუსონი და სვენ-გორან ერიკსონი

# ოლდ ტრეფორდი ერიკსონმა დაასვენა

**1974 წლის** შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედს“ შინ „სიტისთან“ არ წაეგო და ეს კვირას მაშინ მოახერხა, როცა მიუნხენის ტრაგედიის 50 წლისთავს პატივი მიაგო. „ოლდ ტრეფორდი“ შიშობდა, რომ „ქალაქელი“ ფანები სტევენას ატეხდნენ, მაგრამ ასე არ მოხდა და თამაშიც სტუმართა გამარჯვებით დასრულდა. დარიუს ვასელისა და ბენჯანი მვარუვარის გოლებს მასპინძელმა მაიკლ კარიკმა მატჩის ბოლოსღა უპასუხა, რამაც „მანჩესტერი“ სეზონში პირველ საშინაო მარცხს ვერ გადაარჩინა.

გამარჯვებულთა თავკაცმა სვენ-გორან ერიკსონმა განაცხადა, რომ ამაყობს თავისი გუნდით და იმ გულშემატკივრებით, რომლებმაც წუთიერი დუმილისას მიუნხენის ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნას სათანადო პატივი მიაგეს. „ბევრი საუბარი იყო მატჩის წინ, რომ „სიტის“ ფანები პატივს არ სცემდნენ მიუნხენის ავიაკატასტროფაში დაღუპულებს, მაგრამ ისინი არათუ კარგად — ბრწყინვალედ მოიქცნენ. ვფიქრობ, რომ არა მარტო გულშემატკივრები, „სიტის“ მწვრთნელები და კლუბის შეფებიც კი ამაყობენ იმით, რაც დღეს აქ მოხდა. პირადად ჩემთვის ეს დიდი პატივია, რადგან მსგავს ვითარებაში არასოდეს ვყოფილვარ“ — ბრძანა შვედმა.

წინა ტურში „ტოტენჰემთან“ 1:1-ის შემდეგ „მანჩესტერი“ საშინაო გამარჯვებას გეგმავდა, მაგრამ პირველივე ტაიმში ორი გოლი მიიღო. ვეტერან ვასელს ვან დერ სარმა პირველი დარტყმა აუღო, მაგრამ დარიუსმა დაამატა და ანგარიში გახსნა. ტაიმის მიწურულს ბენჯანი მვარუვარმაც გაიხარა, რომელმაც სხვაობა ორამდე გაზარდა. მვარუვარი „სიტიში“ ხუთი დღის წინ „პორტსმუთიდან“ გადავიდა და უმალ გოლი მიითვალა.

„ქალაქელთა“ თავკაცის სვენ-გორან ერიკსონის აზრით, ნახევარსაუკუნოვანი ტრაგედიის ბრალი არაა ის, რომ „მანჩესტერმა“ წააგო. შვედის თქმით, მისმა გუნდმა უკეთესი ფეხბურთი ითამაშა და ამიტომაც მოიგო. „ეს ხომ დერბია. ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი მატჩი იყო და უფრო ძვირფასი „მანჩესტერისთვის“, რადგან „არსენალის“ გადასწრება შეეძლო. დიდი სიურპრიზი იქნება ჩემთვის, ვინმემ მითხრას, ჩვენ იმიტომ მოვიგეთ, რომ მეტოქე კონტრშეტევაზე გამოვიჭირეთო. პირიქით, ჩემი აზრით, უკეთ ვითამაშეთ და გამარჯვებაც დავიმსახურეთ. საქმეს უკეთ მივუდექით და მეტი შემართებით ვითამაშეთ. „სიტიმ“ დიდებულად იშრომა. „ოლდ ტრეფორდზე“ რომ მოიგებ, ესე იგი, იმსახურებ“.

დამარცხებულთა მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი მატჩის შემდეგ უმალ სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა, სადაც გუნდის ტურნეს მოწყობას გეგმავს. ფერგიუსონის თანაშემწემ კარლუშ კეიროშმა განაცხადა, რომ „მანჩესტერს“ სისწრაფე აკლდა და ამიტომ წააგო. გარდა ამისა, კეიროშმა წაგების მიზეზად სანაკრებო მატჩები დაასახელა. „ერთ-ერთი ისეთი დღე იყო, როცა გუნდის მთავარი ფეხბურთელების უმეტესობა საუკეთესო ფორმაში არ იყვნენ. ამას საბოდიშოდ არ ვამბობ, მაგრამ ფაქტია, რომ სანაკრებო თამაშებმა მათ ჯანს დაღი დაასვა. ამ მარცხის შემთხვევითობა მომდევნო ტურში უნდა დავამტკიცოთ და საჩემპიონო ბრძოლას არ ჩამოვრჩეთ“.

საჩემპიონო რბოლას კი ცოტათი ჩამორჩა „ჩელსი“, რომელმაც შინ „ლივერპულს“ ვერ მოუგო. მასპინძელთა მწვრთნელმა ავრაამ გრანტმა თქვა, რომ „ვარსკვლავების“ დაბრუნების შემდეგ მისი გუნდი უკეთესად ითამაშებს. გრანტი ჯონ ტერის, ფრენკ ლამპარდის, მიკაელ ესიენის, სალომონ კალუსა და დიდიე დროგბას გულისხმობდა. ტერიმ და ლამპარდმა ტრავმები მოიშუშეს და, სავარაუდოდ, მომავალ უქმეებზე სათასო მატჩში ითამაშებენ, ხოლო დროგბა, ესიენი და კალუ აფრიკის ერონვნებათა თასიდან დაბრუნდებიან, რაც „ჩელსის“ უმალ დაეტყობა. წინა ტურში გუნდი სტუმრად „პორტსმუთს“ დაუძვრა და „ლივერპულთან“ ზედიზედ მეორე ფრე „გააგორა“, ავრაამ გრანტმა კი ბრძანა: „მიჯრით ორი ფრე სასიამოვნო არაა, მაგრამ ამით საჩემპიონო ბრძოლას არ გამოვეთიშეთ და ეს მახარებს. ბევრი ფეხბურთელის ტრავმის შედეგად რამდენიმე ტურმა 10-11 კაცზე გადაიარა, რამაც დაღლილობა გამოიწვია და, ბუნებრივია, გუნდი ჯანზე ველარაა. მით უმეტეს, რომ ბევრმა მათგანმა ოთხშაბათს ნაკრებში ითამაშა“.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ფარაონთა ჰეგემონია

**ეგვიპტემ** აფრიკის ერონვნებათა თასი ზედიზედ მეორედ, თან სარეკორდოდ, მეექვსედ მოიგო. ტურნირის დაწყებამდე არაბებს ფავორიტებად არ მიიჩნევდნენ და მათი მწვრთნელი ჰასან შეჰათაც ამბობდა, რომ გუნდს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატისთვის ამზადებდა. შეჰათას თანაშემწემ შაუქი ღარიბმა ფინალამდე ისტორია გაიხსენა და თქვა, რომ 2006-ში ჯგუფში კოტ დივუარს მოუგეს და ფინალშიც ამავე ნაკრებს აჯობეს. განაში მსგავსი მოხდა — ეგვიპტემ ჯგუფშიც კამერუნი დაამარცხა და ფინალშიც „მოუთვინიერებელ ლომებს“ შეხვდა. ისტორია გამეორდა და „ფარაონებმა“ კვლავ იმარჯვეს. კამერუნელებმა.ნამატჩევს აღიარეს, რომ ტურნირი საუკეთესო გუნდმა მოიგო.

ფინალური მატჩის განმავლობაში „ლომები“ უპირატესობას ფლობდნენ, მაგრამ რიგობერტ სონგის შეცდომამ მატჩის ბედი გადაწყვიტა. მოჰამედ ზიდანმა სეხნია აბუტრიკას უპასა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა ფეხბურთელმა გამარჯვების გაიტანა.

ეგვიპტელები ნიჭიერად უტევდნენ კამერუნელებს, თუმც მეკარე კარლოს კამენი ყოჩაღობდა და არაერთი ბურთი მოიგერია. აფრიკის ერონვნებათა თასის ისტორიაში საუკეთესო მეგოლე (16 გოლი) სამუელ ეტოო შეტევაში ეულად დარჩა და „ფარაონების“ წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო.

„ისლა დაგვრჩენია, მეტოქეს მივულოცოთ. მათ გამარჯვება დაიმსახურეს“ — თქვა ბილ ჩატომ, რომელმაც დისკვალიფიკაცირებული ანდრე ბიკეის ნაცვლად ითამაშა — სიმართლეს თვალებში შევხედოთ და ვაღიაროთ, რომ ტურნირი საუკეთესო გუნდმა მოიგო“.

ჩატოს ნათქვამში სიმართლე ნამდვილად არის, რადგან ეგვიპტემ ჯგუფში კამერუნს 4:2 მოუგო, ნახევარფინალში კოტ დივუარი იგივე ანგარიშით დაამარცხა და ფინალშიც იძალა. „ეგვიპტელებმა ტურნირი საუკეთესოდ ჩაატარეს და არ უნდა დაგვავიწყდებს, რომ ისინი თასის მფლობელები იყვნენ“ — აღნიშნა ჩატომ — ორი წლის წინ მათი გამარჯვება შემთხვევითი არ ყოფილა“.

კამერუნელმა ჯერემი ნჯიტაპმა კი აღნიშნა, რომ თავისი გუნდის თამაშით მთლიანობაში კმაყოფილია. „წაგება არავის სიამოვნებს, მით უმეტეს ფინალში, მაგრამ ჩვენ შევძელით ის, რასაც ბევრი არ მოელოდა. ფავორიტებში არავინ გვთვლიდა, თუმც საწინააღმდეგო დავამტკიცეთ და ეს მახარებს“.

მიუხედავად იმისა, რომ კამერუნის კარში გოლი რიგობერტ სონგის შეცდომას მოჰყვა, დამარცხებულები სონგს არ ადანაშაულებენ. თვითონ ფეხბურთელმა კი განაცხადა: „კარგად ვითამაშეთ, მაგრამ გოლი ძალიან ცუდ დროს გავუშვით. შესაძლოა, ჩვენი მოთამაშეები ფინალისთვის საუკეთესო ფორმაში არ იყვნენ, მაგრამ მათ თავი არ დაუზოგავთ. ფეხბურთიდან წასვლას ჯერ არ ვაპირებ და სანაკრებო კარიერას გავაგრძელებ“ — თქვა სონგმა, რომელსაც აფრიკის ერონვნებათა თასი ორჯერ (2000, 2002) მოუგია.

ტრიუმფატორ ეგვიპტეს კი შინ თვით პრეზიდენტი ჰოსნი მუბარაქი დახვდა და დააფასრა. კაიროს აეროპორტში ათასობით ფანი განიდან დაბრუნებულ გმირებს დიდი ზარზეიმით დახვდა. მუბარაქი საემიროებში ვიზიტით იმყოფებოდა, მაგრამ ნაკრების გამო სასწრაფოდ შინ გამობრუნდა.

ტურნირის დასრულებისთანავე აფრიკის ფეხბურთის კონფედერაციამ საუკეთესო თერთმეტი და შვიდი სათადარიგო დაასახელა. თერთმეტეული ასეთია: *ესამ ელ ჰადარი (ეგვიპტე), ჯერემი ნჯიტაპი (კამერუნი), ვაელ გომაა (ეგვიპტე), მიკაელ ესიენი (განა), სულეი მუნტარი (განა), იაია ტურე (კოტდივუარი), ალექსანდრ სონგი (კამერუნი), ჰოსნი აბდ რაბუ (ეგვიპტე), მოჰამედ აბუტრიქა (ეგვიპტე), ამრ ზაქი (ეგვიპტე), მანუშუ (ანგოლა)*. სათადარიგოები: *რიჩარდ კინგსონი (განა), ჰანი საიდი (ეგვიპტე), აჰმედ ფატჰი (ეგვიპტე), ფრეჯ საბერი (ტუნისი), სტეფან მბია (კამერუნი), დიდიე დროგბა (კოტ დივუარი), აბდულ კადერ კეიტა (კოტ დივუარი)*.

თასის მთავარმეგოლე სამუელ ეტოო გახდა, რომელმაც ხუთი გოლი მიითვალა, 4-4 შეაგდეს ჰოსნი აბდ რაბუმ, ალბერტო მატეუშმა და ამრ ზაქიმ, ხოლო სამ-სამი — მოჰამედ აბუტრიკამ, სუფიანე ალუდიმ, დიდიე დროგბამ, სალომონ კალუმ და აბდულ კადერ კეიტამ.

**ვაჟა ხუციშვილი**



## აფრიკის ერონვნებათა თასის ყველა ფინალი

| | | |
|---|---|---|
| 1957 | სუდანი | ეგვიპტე 4:0 ეთიოპია |
| 1959 | ეგვიპტე | ეგვიპტე 2:1 სუდანი |
| 1962 | ეთიოპია | ეთიოპია 4:2დ.დ. ეგვიპტე |
| 1963 | განა | განა 3:0 სუდანი |
| 1965 | ტუნისი | განა 3:2დ.დ. ტუნისი |
| 1968 | ეთიოპია | კონგოს დ.რ. 1:0 განა |
| 1970 | ტუნისი | სუდანი 1:0 განა |
| 1972 | კამერუნი | კონგო 3:2 მალი |
| 1974 | ეგვიპტე | ზაირი 2:2დ.დ. ზამბია |
| | | გათამაშება ზაირი 2:0 ზამბია |
| 1976 | ეთიოპია | მაროკო (ჯგუფის გამარჯვებული) |
| 1978 | განა | განა 2:0 უგანდა |
| 1980 | ნიგერია | ნიგერია 3:0 ალჟირი |
| 1982 | ლიბია | განა 1:1დ.დ.(7:6პ) ლიბია |
| 1984 | კოტ დივუარი | კამერუნი 3:1 ნიგერია |
| 1986 | ეგვიპტე | ეგვიპტე 0:0დ.დ.(5:4პ) კამერუნი |
| 1988 | მაროკო | კამერუნი 1:0 ნიგერია |
| 1990 | ალჟირი | ალჟირი 1:0 ნიგერია |
| 1992 | სენეგალი | კოტ დივუარი 0:0დ.დ.(11:10პ) განა |
| 1994 | ტუნისი | ნიგერია 2:1 ზამბია |
| 1996 | ს. აფრიკა | ს. აფრიკა 2:0 ტუნისი |
| 1998 | ბურკინა ფასო | ეგვიპტე 2:0 ს. აფრიკა |
| 2000 | განა, ნიგერია | კამერუნი 2:2დ.დ.(4:3პ) ნიგერია |
| 2002 | მალი | კამერუნი 0:0დ.დ.(3:2პ) სენეგალი |
| 2004 | ტუნისი | ტუნისი 2:1 მაროკო |
| 2006 | ეგვიპტე | ეგვიპტე 0:0დ.დ.(4:2პ) კოტ დივუარი |
| 2008 | განა | ეგვიპტე 1:0 კამერუნი |

### ჩილე

აპერტურა. III ტური

ატლეტიკო — ოსორნო 2:0; სან მორნინგი — უაჩიპატო 2:2; აუდაქს იტალიანო — დეპ. კონსეპსიონი 3:2

### მექსიკა

კლაუსურა. IV ტური

ნეკაქსა 2:0 კრუზ ასული

სანტოსი 2:1 პაჩუკა

### არგენტინა

კლაუსურა. I ტური

არსენალი 2:0 ურაკანი

რივერ პლეიტი 2:0 ხიმნასია (ხ)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ობიექტი



ფინალის მერე ეგვიპტელებს ტახტრევნით და განელი გოგონას ხელით მიართვეს თასი



ეს ეგვიპტელთა მეკარე ესამ ალ-ჰადარია, ფინალის მერე. ოღონდ ნუ იკითხავთ, ხარიხაზე რა ძალამ შემოასკუპაო



წარმართული სიმბოლოები და ბიბლია — ეს ნიგერიელი გულშემატკივარია




დიდება ალაჰს! — ასე აღნიშნეს ეგვიპტელებმა ნახევარფინალში კოტ დივუართან პირველი გოლის გატანა



აი, ასეთ „მოედნებზე“ იზრდებიან აფრიკელი ვარსკვლავები. ვიამაყოთ: ქართველებს უკეთესი სათამაშო ალაგები გავაქვს...



განელმა გულშემატკივრებმა კუბო გაუმზადეს კამერუნის ნაკრებსა და სამუელ ეტოოს. ხერხმა გაჭრა: კამერუნი ფინალში დამარცხდა, მაგრამ განელებს ამით რა?! თავად ხომ სულაც ფინალს მიღმა დარჩნენ

# შვიდმა გოლმა 8 ქულა დაიმსახურა

**აქამდე ბრძოლით მოვიდა „ვალიადოლიდი“, მაგრამ კვირას „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მენდილიბარის გუნდს მადრიდის „რეალმა“ უყელა და სხვა დროს გრანდებთან ტოლ-სწორად მოჯაჯგურე „ბულდოგებს“ სულ წვრილად ჩააფშვნა ხახაში ბასრი ეშვები... „რეალმა“ 7:0 მოიგო, ხოლო „ბარსამ“ კინაღამ წააგო „სევილიასთან“ და მარადიულ მტრებს შორის საჩემპიონო რბოლაშიც მანძილი 6 ქულიდან უმალ 8-მდე გაიზარდა. სხვა რა მოხდა 23-ე ტურში საინტერესო? ფორლანის ორმა გოლმა „ატლეტიკო“ საჩემპიონთალიგო პოზიციაზე დააბრუნა, ფრანკოს იღბლიანმა დარტყმამ კი „ვილიარეალი“ განამტკიცა მესამე ადგილზე...**



„ბულდოგებმა“ არიენ რობენის შეჩერება ვერ მოახერხეს

## FC BAR... უკაცრავად, ჭვინტი!

სევილიაში კატალონიელთა გადამრჩენი გოლისას ხავის დიდი მახვილგონიერებისთვის არ მიუმართავს — ერთი მძლავრად ამოსდო ბურთს ჭვინტი და „სანჩეს პისხუანის“ ტაბლოზე საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 1:1. ვინც ეს მატჩი ან თუნდაც ხსენებული ეპიზოდი იხილა, იტყვის, რომ ასეთი გოლი პრესას დითირამბებს ვერ დააცდევინებს, ინჩასებს კი ჭკუიდან ვერ შეშლისო, თუმცა რა დროს ამაზე ფიქრია, როცა რამდენიმე გაავებული ანდალუზიელი მცველი ზვიგენივით აგდევნებია, შენ კი ერთი სული გაქვს, სანამ რამენაირად მატჩის გადარჩენას შეძლებ! ისე, ზვიგენებს რომ შევეშვათ, საკმაოდ კარგად ჩანს, რომ ფრანკ რაიკარდის გუნდს დღეს მოედანზე ბარსელონურზე მეტად „საჭვინტაო“ პოლიტიკა უჭრის. აბა, სხვანაირად გოლის შეგდებას კატალონიელები უკვე ნაკლებად ახერხებენ და სამუელ ეტოოს მოწოდებაც — თუნდაც ცუდი თამაშით, მაგრამ მაინც უნდა გავიმარჯვოთო — ეტყობა, მათთვის ცხოვრებისეული დევიზი გამხდარა (თუმცა „სევილიასთან“ ვერ იხეირეს).

და რონალდინიო? ბრაზილიელმა „სანჩეს პისხუანზე“ ოთხი ერთიმეორის უარესი საჯარიმო დაარტყა, ისეც ღირებული არაფერი შეუქმნია და გაზეთებმაც უკვე მერამდენედ დაუწერეს — ჩვენ რომ გვახსოვს, იმ გაუჩოსგან ფერფლიც აღარაა დარჩენილიო. „ბარსელონა“ არც რონალდინიოთი დაწყებულა და არც მისით დამთავრდება, კატალონიელთა თავკაცობა უსათუოდ გამოძებნის გამოსავალს. მანამდე კი ჭვინტი, amigo.

## ოსტატ-შეგირდი ფრეს ვერ გასცდა

„ალმერია“ „მალიორკას“ სტუმრობდა. გუნდებმა გოლის გატანა ვერ შეძლეს და „სან მოისზე“ შეკრებილმა ფანობამაც სტადიონი უკმაყოფილომ დატოვა. სამაგიეროდ, კუნძულელთა მწვრთნელმა გრეგორიო მანსანომ თავისი ყოფილი შეგირდი, ამჟამად კი „ალმერიას“ თავკაცი უნაი ემერი ნახა და გულთბილად მოიკითხა.

ისინი ერთმანეთთან ტოლედოში თანამშრომლობდნენ. ემერი მაშინ სენიორ გრეგორიოს ფავორიტი ნახევარმცველი იყო. ახლა კი „ალმერიათი“ ექსმასწავლებლის „მალიორკას“ პრიმერადივიზიონის ცხრილში 5 ქულით უსწრებს. ჩარლზ დარვინის ევოლუციის თეორიის მიხედვით, შვილებს მამათა მიღწევების გაუმჯობესება სჩვევიათ — აღნიშნავენ ესპანურ მედიაში.

## გოლმა ცალკე უჩე მოარჩინა და ცალკე სრულიად ხეტაფე

„კოლისეუმ ალფონსო პერესზე“ ნიგერიელი უჩე ისევ მიღებული კაცია, თავს არხეინად გრძნობს და იქაურ გულშემატკივრებს თვალში რომ ჩაუვარდეთ, ხელს არ ამოისვამენ. ეს ახლა, თორემ, აბა, ერთი გენახათ, „ხეტაფეში“ რა ხდებოდა, როცა უჩეს ნიგერიის ნაკრები აფრიკის თასს გასულ კვირას გამოეთიშა, აფრიკელი კი კლუბში სავარჯიშოდ მხოლოდ ხუთშაბათს გამოცხადდა. გუნდის თავკაცები უჩეს ფულადი ჯარიმით დაემუქრნენ, გულშემატკივრებმა კი ტრადიციულად „უზნეოს“ და „თავქეიფას“ იარლიყი მიაკრეს. თუმცა მიქაელ ლაუდრუპმა ბრაზზე სძლია და განკიცხული უჩე „დეპორთან“ „რიასორზე“ საომრად შეაგდო. იცის დიდმა დანიელმა, განკიცხულთაგან გოლების გატანას ბედის შემობრუნება რომ შეუძლია — ბოლოს და ბოლოს, ლაუდრუპი ფეხბურთელობისას ყველაზე დიდი მეგოლე „თავქეიფას“, ლეგენდარული რომარიოს გვერდით ბურთაობდა. მოკლედ, გარისკა მწვრთნელმა, უჩეს შანსი მისცა და იმანაც „ხეტაფეს“ გადამრჩენი გოლი შეაგდო. ვილას ახსოვს ახლა „კოლისეუმზე“ ნიგერიელის უზნეობა.

## ფორლანს ფერნანდო ტორესი დაამართა

დიეგო ფორლანმა „რასინგის“ კოლტორტის კარი ორჯერ კი დალაშქრა, მაგრამ „ელ სარდინეროზე“ ისიც გამოჩნდა, რომ ურუგვაელს „ფერნანდო ტორესის ვირუსი“ აწუხებს. ისევე, როგორც თავის დროზე „ელ ნინიო“, „ათლეტთა“ დღევანდელი ფორვარდიც მოედანზე თავის ჩვეულ პოზიციას ტოვებს და ცენტრისკენ იხევს, რათა მავანის უზუსტობის გამო ვერმიღებული ბურთი ბრძოლაში თავად მოიპოვოს.

საერთოდ, დიეგო 30 მეტრის მოშორებით ბურთაობს იმ ადგილიდან, სადაც მეტოქისთვის ყველაზე მეტი ზარალის მიყენება შეუძლია (მოწინააღმდეგის საჯარიმოს ვგულისხმობთ). ამიტომაცაა, ურუგვაელი თამაშს უმეტესწილად უგოლოდ რომ ტოვებს ხოლმე. შაბათს ფორლანმა ორი გოლი გაიტანა და საერთო ჯამში საამსეზონოდ 9 დააგროვა, თუმცა, თუ ოკეანისგაღმელს მეტოქის საჯარიმოს უფრო მიაახლოებენ, ფეხბურთელის საგოლე ალღო უფრო მეტ შედეგს მოიტანს. იქნებ „ატლეტიკოსთვის“ დაცვა-ნახევარდაცვაზე გადაგებას თავდამსხმელებზე მეტი ყურადღების მიქცევა სჯობდეს? მადრიდელთა მოედნის ცენტრი ის უფსკრულია, სადაც ბურთი ყველაზე მეტად იკარგება — და ეს დღეს უკვე ლივერპულელმა ტორესმა საკუთარ ტყავზე იწვნია.

## რიგით მეცამეტე შვიდიანი

კარგა ექვსი წელიწადი გავიდა, რაც „სამეფო გუნდს“ თავისი ქომაგებისთვის ასეთი ნეტარება არ მიუნიჭებია. სხვათა შორის, „ვალიადოლიდამდელი“ ბოლო 7:0 „რეალმა“ ისევ 10 თებერვალს, ოღონდ 2002-ში გამოაცხო. მაშინ დედაქალაქელებს „ლას პალმასი“ შეეწირა, ოდინდელმა მადრიდელმა ფერნანდო მორიენტესმა კი 5 გოლი შეაგდო.

შვიდგოლიანობა ცამეტჯერ ყოფილა სამეფო ისტორიაში. „ვალიადოლიდი“ კი ის გუნდია, „რეალმა“ სხვებზე მეტად რომ აიკლო. 2003-ის სექტემბერში მადრიდელებმა „ბულდოგები“ 7:2 დაამარცხეს და რაულმა ჰეთ თრიქით იხეირა. სამეფო თეთრების კაპიტანი „ვალიადოლიდის“ კოშმარია, 14 გოლი გაუტანია უკვე კასტილიელებისთვის.

ცამეტიდან კიდევ დასამახსოვრებელი შვიდიანი 1987-88-ის სეზონში ორჯერით შედგა — მეორე ტურში „რეალმა“ „ლა რომარედაზე“ „სარაგოსა“ 7:1 დაამარცხა, მესამეში კი „კასტელანაზე“ „სპორტინგი“ 7:0 მოსპო.

## ტურის გმირი — არიენ რობენი

ჰოლანდიელმა ბეჩავ „ბულდოგებს“ შვიდიდან მეოთხე გოლი გაუტანა და, როგორც იქნა, მის შესაძენად დახარჯული 36 მილიონის გამართლება დაიწყო... არ დავივიწყდეს, რომ რობენი მადრიდის „რეალის“ სატრანსფერო ისტორიაში ზიდანის, ფიგუსა და რონალდოს შემდეგ ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელია.

არიენს ტრავმები სტანჯავდა, თუმცა სატკივარი მოირჩინა, ფსიქოლოგიური შოკიც დაძლია და კვირას „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიბრწყინა. ახლა ისიც გავიხსენოთ, „რეალის“ ყოვლისშემძლე მანქანა გუნდთან ადაპტაციისთვის რა ცოტა დროს იძლევა და ჰოლანდიელის სიძლიერეზეც დავფიქრდეთ.

**ლადო ხომერიკი**

# ლამპარდი და მაუ — ბარსასთვის ჯერ ისევ საალბათონი

**ფრენკ ლამპარდის** და „ბარსელონას“ სატრანსფერო რომანი გრძელდება. „ჩელსის“ ნახევარმცველს, რომელმაც კვირას „ლივერპულის“ წინააღმდეგ ითმა, ზაფხულში „სტემფორდ ბრიჯის“ დატოვება 5 მილიონი გირვანქის (დაახლოებით, 6,8 მილიონი ევრო) საფასურად შეეძლება. ბრიტანული „მეილ ონ სანდის“ ვერსიით კი, ამ პერიოდისთვის ლამპარდზე მონადირე კლუბთაგან ყველაზე პრივილეგირებული შეიძლება, „ბარსელონა“ აღმოჩნდეს.

მოქმედი საფეხბურთო წესების მიხედვით, ფეხბურთელები კლუბიდან საკონტრაქტო ვადის ამოწურვამდე წასვლის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან, ხელშეკრულებით დაწესებული თანხა გადაიხადონ. ამგვარად, ლამპარდს „ჩელსის“ დატოვების შანსი აქვს, მიუხედავად იმისა, ლონდონურ კლუბს უნდა, თუ არა.

აქ კი „მეილ ონ სანდის“ მისის ელენ ლამპარდი, ფეხბურთელის კატალონიელი მეუღლე ახსენდება. ადრე, ელენის საცოლეობის ჟამს, ბარსელონელები ამ ქალზე დიდ იმედებს ამყარებდნენ — ლამპარდს კატალონიელი შეყვარებული ჰყავს, რომელსაც სამშობლოში დაბრუნება და ფრენკის „ბარსას“ მაისურაში ხილვა უნდაო. ელენი უკვე კარგა ხანია, რაც ლამპარდის მეუღლე გახდა, თუმცა... ჯერჯერობით ოცნება ვერ აისრულა. ისე კი, სატრანსფერო „კონსერვატორული“ ვარიანტით, „კამპ ნოუს“ გრანდს სასურველი ფეხბურთელის ხელში ჩაგდება 20 მილიონ გირვანქად (39 მილიონი დოლარი) შეუძლია — „სტემფორდ ბრიჯზე“ ამ თანხას ასახელებენ.

ერთიცაა — შესაძლოა, 2007-08 წლების სეზონის მიწურულს ფრანკ რაიკარდმა „ბარსას“ მწვრთნელის თანამდებობა ლამპარდის ექსგურუს, პორტუგალიელ მაურინიუს გადააბაროს. ჟოზეს პირველი მოთხოვნა კი („მეილ ონ სანდის“ თანახმად) „კამპ ნოუზე“ ფრენკის მიყვანა იქნება“.

ლამპარდისა და „ჩელსის“ თანამშრომლობის გახანგრძლივებას კი ფინანსურმა დეტალებმა შეუშალა ხელი. აქ „ლურჯების“ უპირობო ავტორიტეტის, კაპიტან ჯონ ტერის სახელმა და მისმა ჯამაგირმაც გაიჟღერა, ახსენეს მიხაელ ბალაკის ხელფასიც. „ჩელსის“ უფროსობას უკვე რამდენჯერმე ვუთხარი, რომ ლამპარდს კლუბთან კონტრაქტის განახლება უნდა. თუმცა ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, კლუბი რა ხელფასს შემოგვთავაზებს“ — თქვა მედიასთან ფრენკის მენეჯერმა სტივ კატნერმა.

ლამპარდს ლონდონურ გუნდთან კიდევ ერთი წლით უწევს თანამშრომლობა, მაგრამ თუ ფეხბურთელი საკონტრაქტო თანხას (ხსენებულ 5 მილიონ გირვანქას) გადაიხდის, გინდ ბარსელონისკენ და გინდაც სხვაგან, გზა ხსნილი აქვს.

კატალონიის მთავარქალაქს კი ამას წინათ ჟოზე მაურინიუს ცნობილი საფეხბურთო აგენტი ჟორჟე მენდეში ესტუმრა. დაინტერესებული მხარეები იქ რა შეთანხმებამდე მივიდნენ, არავინ იცის, თუმცა მაუს გაბარსელონელება ცაში გამოკიდული ზღაპარი სულაც არ გახლავთ.

**ლადო ხომერიკი**



სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ინგლისი. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 12 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 3 | სტოკი-საუთჰემპტონი | 1.80 | 3.20 | 4.20 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 23:45 | 4 | უოტფორდი-ლესტერი | 1.65 | 3.40 | 4.85 | 1.11 | 1.23 | 1.99 |
| 23:45 | 5 | ბლეკპული-ვულვერჰემპტონი | 2.35 | 3.20 | 2.70 | 1.35 | 1.25 | 1.46 |
| 23:45 | 6 | ვესტ ბრომვიჩი-შეფილდი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 23:45 | 7 | კოლჩესტერი-პრესტონი | 2.25 | 3.20 | 2.90 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 23:45 | 8 | ქოვენთრი-კარდიფი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 23:45 | 9 | კრისტალ პალასი-იფსვიჩი | 2.00 | 3.20 | 3.55 | 1.23 | 1.27 | 1.68 |
| 23:45 | 10 | ნორვიჩი-ჰალი | 2.00 | 3.20 | 3.40 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 23:45 | 11 | პლიმუთი-ბარნსლი | 1.90 | 3.20 | 3.80 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 23:45 | 12 | ქპრ-ბარნლი | 2.00 | 3.20 | 3.55 | 1.23 | 1.27 | 1.68 |
| 23:45 | 13 | სკანთორპი-ბრისტოლი | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| 23:45 | 14 | უენსდი-ჩარლტონი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| | | ინგლისი. I ლიგა | | | | | | |
| | | 12 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 27 | ლეიტონი-ქრიუ | 1.75 | 3.40 | 4.25 | 1.15 | 1.23 | 1.88 |
| 23:45 | 28 | მილუოლი-საუთენდი | 2.35 | 3.20 | 2.80 | 1.35 | 1.27 | 1.49 |
| 23:45 | 29 | სუონსი-უოლსოლი | 1.65 | 3.40 | 4.80 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| 23:45 | 30 | სუინდონი-ჩელტენემი | 1.80 | 3.20 | 4.25 | 1.15 | 1.26 | 1.82 |
| 23:45 | 31 | ბორნმუთი-დონკასტერი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 23:45 | 32 | იოვილი-ნორთჰემპტონი | 2.20 | 3.20 | 3.10 | 1.30 | 1.28 | 1.57 |
| 23:45 | 33 | ბრაიტონი-ტრანმერი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 23:45 | 34 | როვერსი-ოლდემი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 23:45 | 35 | კარლაილი-ჰადერსფილდი | 1.70 | 3.40 | 4.70 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 23:45 | 36 | ჯილინგემი-ლუტონი | 1.95 | 3.20 | 3.55 | 1.21 | 1.25 | 1.68 |
| 23:45 | 37 | ჰარტლპული-პორტ ვეილი | 1.65 | 3.40 | 5.00 | 1.11 | 1.24 | 2.02 |
| 23:45 | 38 | ლიდსი-ნოტინგემი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| | | ინგლისი. II ლიგა | | | | | | |
| | | 12 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 51 | შრიუსბერი-დონსი | 2.85 | 3.20 | 2.25 | 1.50 | 1.25 | 1.32 |
| 23:45 | 52 | აკრინგტონი-ლინკოლნი | 2.30 | 3.20 | 2.80 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 53 | ბარნეტი-ბრენტფორდი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 23:45 | 54 | ბერი-უიკომბი | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| 23:45 | 55 | დაგ ენდ რედი-ჩესტერი | 2.35 | 3.20 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 23:45 | 56 | მაკლსფილდი-გრიმსბი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| 23:45 | 57 | მენსფილდი-მორიკომბი | 2.40 | 3.20 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 23:45 | 58 | ნოტსი-დარლინგტონი | 3.10 | 3.20 | 2.15 | 1.57 | 1.26 | 1.28 |
| 23:45 | 59 | როჩდეილი-ჰერეფორდი | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 23:45 | 60 | როტერჰემი-სტოკპორტი | 1.90 | 3.20 | 3.70 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 61 | ჩესტერფილდი-პიტერბრო | 2.45 | 3.20 | 2.65 | 1.38 | 1.27 | 1.44 |
| | | ინგლისი. კონფერენსი | | | | | | |
| | | 12 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 74 | ვეიმუთი-ტორკი | 4.30 | 3.40 | 1.75 | 1.89 | 1.24 | 1.15 |
| 23:45 | 75 | ჰალიფაქსი-იორკი | 2.60 | 3.20 | 2.50 | 1.43 | 1.27 | 1.40 |
| 23:45 | 76 | ექსეტერი-უოკინგი | 1.60 | 3.50 | 5.30 | 1.09 | 1.22 | 2.10 |
| 23:45 | 78 | ალდერშოტი-კემბრიჯი | 1.85 | 3.20 | 4.20 | 1.17 | 1.28 | 1.81 |
| 23:45 | 79 | ალტრინჰემი-ფარსლი | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| 23:45 | 80 | გრეისი-რაშდენი | 1.85 | 3.20 | 4.10 | 1.17 | 1.27 | 1.79 |
| 23:45 | 81 | ბარტონი-დროილსდენი | 1.30 | 4.80 | 8.00 | 1.02 | 1.11 | 3.00 |
| 23:45 | 83 | ჰისტონი-სტეფორდი | 1.45 | 3.80 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.46 |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 77 | სტივენეიჯი-ფორესტ გრინი | 1.75 | 3.30 | 4.70 | 1.14 | 1.27 | 1.93 |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 82 | ქროული-ებსფლითი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | შოტლანდია. პრემიერლიგა | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.45 | 3.70 | 7.00 | 1.04 | 1.20 | 2.42 |
| | | იტალია. სერია A | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 140 | მილანი-ლივორნო | 1.30 | 4.60 | 9.50 | 1.01 | 1.14 | 3.09 |
| | | იტალია. სერია B | | | | | | |
| | | 12 თებერვალი | | | | | | |
| 23:30 | 221 | ტრიესტინა-სპეცია | 1.80 | 3.10 | 4.10 | 1.13 | 1.25 | 1.76 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23:30 | 222 | მანტოვა-ვიჩენცა | 1.60 | 3.20 | 5.70 | 1.06 | 1.24 | 2.04 |
| 23:30 | 223 | ბოლონია-აველინო | 1.30 | 4.40 | 7.90 | 1.00 | 1.11 | 2.82 |
| 23:30 | 224 | მოდენა-კიევო | 2.90 | 2.70 | 2.45 | 1.39 | 1.32 | 1.28 |
| 23:30 | 225 | ჩეზენა-გროსეტო | 2.05 | 2.80 | 3.60 | 1.18 | 1.30 | 1.57 |
| 23:30 | 226 | ასკოლი-ლეჩე | 2.90 | 2.70 | 2.45 | 1.39 | 1.32 | 1.28 |
| 23:30 | 227 | ფროზინონე-მესინა | 2.35 | 2.80 | 3.00 | 1.27 | 1.31 | 1.44 |
| 23:30 | 228 | ბარი-პიაჩენცა | 2.05 | 2.80 | 3.60 | 1.18 | 1.30 | 1.57 |
| 23:30 | 229 | ბრეშა-პიზა | 2.15 | 2.90 | 3.20 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| 23:30 | 230 | ალბინოლეფე-რავენა | 1.50 | 3.50 | 6.30 | 1.04 | 1.21 | 2.25 |
| 23:30 | 231 | ტრევიზო-რიმინი | 2.40 | 2.80 | 2.85 | 1.29 | 1.30 | 1.41 |
| | | მექსიკა | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 391 | ამერიკა-მორელია | 1.65 | 3.50 | 4.60 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| 23:45 | 392 | ვერაკრუსი-სან ლუისი | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 393 | ტოლუკა-კრუს ასული | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:45 | 394 | ხაგუარესი-ნეკასა | 2.00 | 3.25 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.62 |
| 23:45 | 395 | ჩივასი-სანტოსი | 1.65 | 3.40 | 4.50 | 1.11 | 1.20 | 1.93 |
| 23:45 | 396 | პუებლა-პუმასი | 2.15 | 3.25 | 2.90 | 1.29 | 1.23 | 1.53 |
| 23:45 | 397 | პაჩუკა-ტიგრესი | 1.70 | 3.35 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.88 |
| 23:45 | 398 | მონტერეი-ტეკოსი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:45 | 399 | ატლანტე-ატლასი | 1.70 | 3.35 | 4.30 | 1.12 | 1.21 | 1.88 |
| | | უეფას თასი | | | | | | |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 21:00 | 96 | ზენიტი-ვილიარეალი | 2.60 | 3.10 | 2.50 | 1.41 | 1.27 | 1.38 |
| 21:45 | 97 | გალათასარაი-ლევერკუზენი | 2.30 | 3.10 | 2.85 | 1.32 | 1.27 | 1.48 |
| 22:00 | 100 | აეკ-ხეტაფე | 2.40 | 3.10 | 2.75 | 1.35 | 1.28 | 1.45 |
| 23:00 | 101 | ბრანი-ევერტონი | 4.80 | 3.30 | 1.75 | 1.95 | 1.28 | 1.14 |
| 23:30 | 102 | ვერდერი-ბრაგა | 1.40 | 4.00 | 7.00 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 23:45 | 104 | ანდერლეხტი -ბორდო | 2.50 | 3.10 | 2.60 | 1.38 | 1.27 | 1.41 |
| 23:45 | 105 | პსვ-ჰელსინგბორგი | 1.35 | 4.40 | 8.00 | 1.03 | 1.15 | 2.83 |
| 23:45 | 107 | მარსელი-სპარტაკი მ | 1.80 | 3.20 | 4.30 | 1.15 | 1.26 | 1.83 |
| 23:45 | 108 | რეინჯერსი-პანათინაიკოსი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 23:45 | 109 | სპორტინგი-ბაზელი | 1.60 | 3.40 | 5.30 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| | | 14 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 98 | აბერდინი-ბაიერნი | 6.50 | 3.60 | 1.50 | 2.31 | 1.21 | 1.05 |
| 23:30 | 111 | ციურიხი-ჰამბურგი | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 23:45 | 112 | რუსენბორგი-ფიორენტინა | 3.00 | 3.20 | 2.20 | 1.54 | 1.26 | 1.30 |
| 23:45 | 113 | სლავია-ტოტენჰემი | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 23:45 | 114 | ბოლტონი-ატლეტიკო | 2.65 | 3.10 | 2.50 | 1.42 | 1.28 | 1.38 |
| 23:45 | 115 | ბენფიკა-ნიურნბერგი | 1.75 | 3.30 | 4.30 | 1.14 | 1.24 | 1.86 |
| | | ინგლისი. FA Cup | | | | | | |
| | | 16 თებერვალი | | | | | | |
| 16:30 | 142 | როვერსი-საუთჰემპტონი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 143 | კარდიფი-ვულვერჰემპტონი | 2.05 | 3.20 | 3.40 | 1.24 | 1.27 | 1.64 |
| 19:00 | 144 | ლივერპული-ბარნსლი | 1.12 | 6.50 | 20.00 | 1.00 | 1.06 | 4.90 |
| 21:15 | 146 | მანჩესტერი-არსენალი | 2.05 | 3.20 | 3.35 | 1.24 | 1.27 | 1.63 |
| 19:00 | 148 | ქოვენთრი-ვესტ ბრომვიჩი | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 19:00 | 149 | ჩელსი-ჰადერსფილდი | 1.05 | 7.50 | 25.00 | 1.00 | 1.00 | 5.76 |
| | | 17 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 145 | პრესტონი-პორტსმუთი | 3.80 | 3.40 | 1.85 | 1.79 | 1.24 | 1.19 |
| 18:00 | 147 | შეფილდი-მიდლსბრო | 2.75 | 3.20 | 2.35 | 1.47 | 1.26 | 1.35 |
| | | შოტლანდია. თასი | | | | | | |
| | | 12 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 429 | როსი-სტ.ჯონსტონი | 2.85 | 3.30 | 2.15 | 1.52 | 1.22 | 1.30 |
| 23:45 | 431 | პარტიკი-ლივინგსტონი | 2.05 | 3.20 | 3.15 | 1.24 | 1.24 | 1.58 |
| | | 13 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 432 | დანდი იუნ.-სტ მირენი | 1.70 | 3.40 | 4.30 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| | | ლიბერტადორესის თასი | | | | | | |
| | | 12 თებერვალი | | | | | | |
| 23:45 | 726 | აუდაქსი-ბოიაკა | 1.80 | 3.20 | 4.00 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 23:45 | 727 | კარაკასი-სან ლორენცო | 2.70 | 3.20 | 2.30 | 1.46 | 1.24 | 1.33 |
| 23:45 | 728 | დეპორტივო-ესტუდიანტესი | 2.70 | 3.20 | 2.35 | 1.46 | 1.25 | 1.35 |
| | | ჰოკეი. შვედეთი | | | | | | |
| | | 12 თებერვალი | | | | | | |
| 22:00 | 513 | ფერიესტადი-მოდო | 1.80 | 4.00 | 3.00 | 1.24 | 1.12 | 1.71 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | ჰოკეი. ფინეთი 12 თებერვალი | | | | | | |
| 20:30 | 528 | ესპოო-ჰელსინკი | 1.80 | 4.10 | 2.90 | 1.25 | 1.11 | 1.69 |
| 20:30 | 529 | ჰაამეენლინა-ლუკო | 2.40 | 4.10 | 2.00 | 1.51 | 1.09 | 1.34 |
| 20:30 | 530 | კაპლა-კერპეტი | 5.50 | 4.30 | 1.30 | 2.41 | 1.05 | 1.00 |
| 20:30 | 531 | სეიპა-ილვესი | 2.70 | 4.10 | 1.85 | 1.62 | 1.09 | 1.27 |
| 20:30 | 532 | ტაპარა-ტურკუ | 1.45 | 4.30 | 4.50 | 1.08 | 1.09 | 2.19 |
| 20:30 | 533 | ესეტი-იუვესკიულე | 3.30 | 4.30 | 1.65 | 1.86 | 1.10 | 1.19 |
| | | ჰოკეი. სლოვაკეთი 12 თებერვალი | | | | | | |
| 20:00 | 721 | პოპრადი-სკალიცა | 1.75 | 4.20 | 3.40 | 1.23 | 1.15 | 1.87 |
| 20:00 | 722 | ზვოლენი-ჟილინა | 1.35 | 4.80 | 5.20 | 1.05 | 1.07 | 2.49 |
| 20:00 | 723 | კექმარნოკი-კოშიცე | 3.10 | 4.20 | 1.80 | 1.78 | 1.13 | 1.25 |
| 20:00 | 724 | ტრენჩინი-მიკულაში | 1.20 | 5.50 | 7.50 | 1.00 | 1.03 | 3.17 |
| 20:00 | 725 | ნიტრა-მარტინი | 5.50 | 4.80 | 1.35 | 2.56 | 1.08 | 1.05 |
| | | ჰოკეი. გერმანია 12 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 568 | კიოლნი-აისბარენი | 1.90 | 4.30 | 2.60 | 1.31 | 1.09 | 1.62 |
| 22:30 | 569 | ნიურნბერგი-ვოლფსბურგი | 1.20 | 5.50 | 6.80 | 1.00 | 1.01 | 3.04 |
| 22:30 | 570 | სტრაუბინგი-იზერლონი | 2.70 | 4.30 | 1.85 | 1.65 | 1.09 | 1.29 |
| 22:30 | 571 | მანჰაიმი-დუისბურგი | 1.12 | 7.00 | 8.60 | 1.00 | 1.00 | 3.85 |
| 22:30 | 572 | დიუსელდორფი-კრეფელდი | 1.75 | 4.40 | 2.90 | 1.25 | 1.09 | 1.74 |
| 22:30 | 573 | ინგოლშტადი-ჰამბურგი | 1.70 | 4.40 | 3.10 | 1.22 | 1.09 | 1.81 |
| | | ჰოკეი. შვეიცარია 12 თებერვალი | | | | | | |
| 22:30 | 589 | დავოსი-ცუგი | 1.70 | 4.40 | 2.90 | 1.22 | 1.07 | 1.74 |
| 22:30 | 590 | ციურიხი-ლანგნაუ | 1.50 | 4.40 | 3.60 | 1.11 | 1.05 | 1.98 |
| | | ჰოკეი. რუსეთი 13 თებერვალი | | | | | | |
| 16:00 | 711 | ავანგარდი-ს.იულაევი | 2.30 | 4.30 | 1.80 | 1.49 | 1.00 | 1.26 |
| 17:00 | 712 | ლადა-ტორპედო | 1.35 | 4.30 | 4.10 | 1.02 | 1.01 | 2.09 |
| 17:00 | 713 | ტრაქტორი-სიბირი | 1.40 | 4.20 | 3.70 | 1.04 | 1.01 | 1.96 |
| 20:00 | 714 | აკ ბარსი-ლოკომოტივი | 1.50 | 4.20 | 3.20 | 1.10 | 1.02 | 1.81 |
| 20:00 | 715 | დინამო-მაგნიტოგორსკი | 2.10 | 4.30 | 2.00 | 1.41 | 1.02 | 1.36 |
| 20:00 | 716 | ნეფტეხიმიკი-ნოვოკუზნეცკი | 1.60 | 4.20 | 2.70 | 1.15 | 1.00 | 1.64 |
| 20:00 | 717 | სევერსტალი-ვიტიაზი | 1.55 | 4.20 | 3.00 | 1.13 | 1.02 | 1.75 |
| 20:00 | 718 | ხიმიკი-ასკ | 1.85 | 4.30 | 2.30 | 1.29 | 1.02 | 1.49 |
| 20:00 | 719 | მვდ-სპარტაკი მ | 1.55 | 4.30 | 3.00 | 1.13 | 1.02 | 1.76 |
| 20:00 | 720 | ცსკა-ამური | 1.22 | 4.20 | 5.90 | 1.00 | 1.01 | 2.45 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10003 | სტოკი-საუთჰემპტონი | 2.20 | 2.10 | 4.30 | 1.07 | 1.45 | 1.41 |
| 10004 | უოტფორდი-ლესტერი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10005 | ბლეკპული-ვულვერჰემპტონი | 2.70 | 2.00 | 3.20 | 1.14 | 1.46 | 1.23 |
| 10006 | ვესტ ბრომვიჩი-შეფილდი | 2.05 | 2.10 | 5.30 | 1.03 | 1.47 | 1.50 |
| 10007 | კოლჩესტერი-პრესტონი | 2.65 | 2.00 | 3.30 | 1.13 | 1.46 | 1.24 |
| 10008 | ქოვენთრი-კარდიფი | 3.00 | 2.00 | 2.95 | 1.20 | 1.48 | 1.19 |
| 10009 | კრისტალ პალასი-იფსვიჩი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10010 | ნორვიჩი-ჰალი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10011 | პლიმუთი-ბარნსლი | 2.30 | 2.00 | 4.00 | 1.06 | 1.46 | 1.33 |
| 10012 | ქპრ-ბარნლი | 2.40 | 2.00 | 3.60 | 1.09 | 1.44 | 1.28 |
| 10013 | სკანთორპი-ბრისტოლი | 2.85 | 2.00 | 3.10 | 1.17 | 1.48 | 1.21 |
| 10014 | უენსდი-ჩარლტონი | 3.10 | 2.00 | 2.85 | 1.21 | 1.48 | 1.17 |
| 10150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.80 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.38 | 1.60 |
| 10429 | როსი-სტ.ჯონსტონი | 3.25 | 2.00 | 2.70 | 1.23 | 1.47 | 1.14 |
| 10431 | პარტიკი-ლივინგსტონი | 2.45 | 2.00 | 3.70 | 1.10 | 1.47 | 1.29 |
| 10432 | დანდი იუნაიტედი-სტ მირენი | 2.10 | 2.10 | 4.85 | 1.04 | 1.46 | 1.46 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11003 | სტოკი-საუთჰემპტონი | 2.70 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.00 | 20.00 | 10.00 | 6.00 |
| 11004 | უოტფორდი-ლესტერი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11005 | ბლეკპული-ვულვერჰემპტონი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11006 | ვესტ ბრომვიჩი-შეფილდი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11007 | კოლჩესტერი-პრესტონი | 3.40 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.00 | 20.00 | 10.00 | 4.60 |
| 11008 | ქოვენთრი-კარდიფი | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11009 | კრისტალ პალასი-იფსვიჩი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11010 | ნორვიჩი-ჰალი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11011 | პლიმუთი-ბარნსლი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11012 | ქპრ-ბარნლი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11013 | სკანთორპი-ბრისტოლი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11014 | უენსდი-ჩარლტონი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11429 | როსი-სტ.ჯონსტონი | 4.00 | 10.00 | 20.00 | 4.80 | 4.40 | 4.40 | 20.00 | 10.00 | 3.60 |
| 11431 | პარტიკი-ლივინგსტონი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |
| 11432 | დანდი იუნაიტედი-სტ მირენი | 2.30 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12003 | სტოკი-საუთჰემპტონი | 1.70 | 1.90 |
| 12004 | უოტფორდი-ლესტერი | 1.70 | 1.90 |
| 12005 | ბლეკპული-ვულვერჰემპტონი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | ვესტ ბრომვიჩი-შეფილდი | 1.90 | 1.70 |
| 12007 | კოლჩესტერი-პრესტონი | 1.70 | 1.90 |
| 12008 | ქოვენთრი-კარდიფი | 1.70 | 1.90 |
| 12009 | კრისტალ პალასი-იფსვიჩი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ნორვიჩი-ჰალი | 1.60 | 2.00 |
| 12011 | პლიმუთი-ბარნსლი | 1.70 | 1.90 |
| 12012 | ქპრ-ბარნლი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | სკანთორპი-ბრისტოლი | 1.70 | 1.90 |
| 12014 | უენსდი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 12150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.90 | 1.60 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13003 | სტოკი-საუთჰემპტონი | 1.80 | 1.80 |
| 13004 | უოტფორდი-ლესტერი | 1.70 | 1.80 |
| 13005 | ბლეკპული-ვულვერჰემპტონი | 1.80 | 1.70 |
| 13006 | ვესტ ბრომვიჩი-შეფილდი | 1.70 | 1.90 |
| 13007 | კოლჩესტერი-პრესტონი | 1.80 | 1.70 |
| 13008 | ქოვენთრი-კარდიფი | 1.70 | 1.90 |
| 13009 | კრისტალ პალასი-იფსვიჩი | 1.70 | 1.80 |
| 13010 | ნორვიჩი-ჰალი | 1.90 | 1.70 |
| 13011 | პლიმუთი-ბარნსლი | 1.80 | 1.80 |
| 13012 | ქპრ-ბარნლი | 1.80 | 1.70 |
| 13013 | სკანთორპი-ბრისტოლი | 1.80 | 1.70 |
| 13014 | უენსდი-ჩარლტონი | 1.70 | 1.90 |
| 13150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.90 | 1.70 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | სტოკი-საუთჰემპტონი | 1.65 | 2.30 |
| 14004 | უოტფორდი-ლესტერი | 1.45 | 2.40 |
| 14005 | ბლეკპული-ვულვერჰემპტონი | 1.80 | 2.00 |
| 14006 | ვესტ ბრომვიჩი-შეფილდი | 1.45 | 2.40 |
| 14007 | კოლჩესტერი-პრესტონი | 1.80 | 2.00 |
| 14008 | ქოვენთრი-კარდიფი | 1.90 | 1.90 |
| 14009 | კრისტალ პალასი-იფსვიჩი | 1.70 | 2.20 |
| 14010 | ნორვიჩი-ჰალი | 1.70 | 2.20 |
| 14011 | პლიმუთი-ბარნსლი | 1.70 | 2.20 |
| 14012 | ქპრ-ბარნლი | 1.70 | 2.20 |
| 14013 | სკანთორპი-ბრისტოლი | 1.85 | 1.95 |
| 14014 | უენსდი-ჩარლტონი | 2.00 | 1.80 |
| 14150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.20 | 2.60 |
| 14429 | როსი-სტ.ჯონსტონი | 2.10 | 1.75 |
| 14431 | პარტიკი-ლივინგსტონი | 1.75 | 2.10 |
| 14432 | დანდი იუნაიტედი-სტ მირენი | 1.45 | 2.40 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15003 | სტოკი-საუთჰემპტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15004 | უოტფორდი-ლესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15005 | ბლეკპული-ვულვერჰემპტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | ვესტ ბრომვიჩი-შეფილდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15007 | კოლჩესტერი-პრესტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | ქოვენთრი-კარდიფი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15009 | კრისტალ პალასი-იფსვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ნორვიჩი-ჰალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | პლიმუთი-ბარნსლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15012 | ქპრ-ბარნლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | სკანთორპი-ბრისტოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15014 | უენსდი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15429 | როსი-სტ.ჯონსტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15431 | პარტიკი-ლივინგსტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15432 | დანდი იუნ.-სტ მირენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16003 | სტოკი-საუთჰემპტონი | 1.30 | 3.00 |
| 16004 | უოტფორდი-ლესტერი | 1.23 | 3.60 |
| 16005 | ბლეკპული-ვულვერჰემპტონი | 1.65 | 2.05 |
| 16006 | ვესტ ბრომვიჩი-შეფილდი | 1.23 | 3.60 |
| 16007 | კოლჩესტერი-პრესტონი | 1.58 | 2.10 |
| 16008 | ქოვენთრი-კარდიფი | 1.80 | 1.85 |
| 16009 | კრისტალ პალასი-იფსვიჩი | 1.40 | 2.55 |
| 16010 | ნორვიჩი-ჰალი | 1.40 | 2.55 |
| 16011 | პლიმუთი-ბარნსლი | 1.34 | 2.80 |
| 16012 | ქპრ-ბარნლი | 1.40 | 2.55 |
| 16013 | სკანთორპი-ბრისტოლი | 1.75 | 1.85 |
| 16014 | უენსდი-ჩარლტონი | 1.80 | 1.80 |
| 16150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.12 | 4.60 |
| 16429 | როსი-სტ.ჯონსტონი | 1.95 | 1.70 |
| 16431 | პარტიკი-ლივინგსტონი | 1.45 | 2.45 |
| 16432 | დანდი იუნაიტედი-სტ მირენი | 1.24 | 3.60 |

### გოლი: ლუწი-1 ან კენტი-2 (0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17003 | სტოკი-საუთჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17004 | უოტფორდი-ლესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17005 | ბლეკპული-ვულვერჰემპტონი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | ვესტ ბრომვიჩი-შეფილდი | 1.85 | 1.95 |
| 17007 | კოლჩესტერი-პრესტონი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | ქოვენთრი-კარდიფი | 1.85 | 1.95 |
| 17009 | კრისტალ პალასი-იფსვიჩი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ნორვიჩი-ჰალი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | პლიმუთი-ბარნსლი | 1.85 | 1.95 |
| 17012 | ქპრ-ბარნლი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | სკანთორპი-ბრისტოლი | 1.85 | 1.95 |
| 17014 | უენსდი-ჩარლტონი | 1.85 | 1.95 |
| 17150 | ჰიბერნიანი-გრეტნა | 1.85 | 1.95 |
| 17429 | როსი-სტ.ჯონსტონი | 1.85 | 1.95 |
| 17431 | პარტიკი-ლივინგსტონი | 1.85 | 1.95 |
| 17432 | დანდი იუნაიტედი-სტ მირენი | 1.85 | 1.95 |

# სარეიტინგო ადი-ჩადი

**დევისის** თასის მატჩების გამო გასულ კვირაში ATP-ის ეგიდით ტურნირები არ გამართულა და შესაბამისად, კაცთა რეიტინგებში, თუ ქვედა ასეულებს არ ჩავთვლით, ცვლილებები არ მომხდარა.

ზოგადად, რეიტინგებში, კვლავაც 14 ჩვენებურია — ოთხი კაცი და ათი ქალი და ისინი დაახლოებით ისევ იქ არიან, სადაც ერთი კვირის წინ იყვნენ.

**კაცები**

369 (-4) ლადო ჩიხლაძე — 87
1219 (+1) ნოდარ ითონიშვილი — 3
1491 (-2) გიორგი ხრიკაძე — 1
1491 (-2) გიორგი ქანტურია — 1

**ქალები**

194 (-3) მაკა ჩახნაშვილი — 148
282 (+3) ანა ტატიშვილი — 88
408 (+1) სოფო შაფათავა — 46
510 (+1) თინა ყავლაშვილი — 31
591 (-1) სალომე დევიძე — 22
605 (+1) მანანა შაფაქიძე — 21
641 (+3) ოქსანა კალაშნიკოვა — 18
694 (-1) სოფო ქვაცაბაია — 16
804 (-1) ეკა გორგოძე — 10
841 (+1) სოფო მელიქიშვილი — 9



# სოფო ქვაცაბაია მალიორკულ ბადეში

**ესპანეთში**, მალიორკას თიხნარზე ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ეგიდით ქალთა 10-ათასიანი ტურნირი ტარდება, რომლის ძირითად ბადეშიც სოფო ქვაცაბაია ითამაშებს.

სოფომ ძირითად ბადეში საკვალიფიკაციო ეტაპიდან შეაღწია. ჩვენებური კვალიფიკანტთა შორის პირველ ნომრად იყო განთესილი და მართალია, საწყის შეხვედრაში 16 წლის ურეიტინგო ესპანელთან, მაგდა პოუტორტ-ბოუსთან საკმაოდ გაუჭირდა (6:7 7:6 6:1), შემდეგ იოლად, 6:3 7:5 აჯობა ბელგიელ ინეკ მერგერტს და ძირითად ბადეში შეაღწია, სადაც პირველ წრეში მეორე ნომრად განთესილ 21 წლის იტალიელ ლიზა საბინოს შეხვდება, ვისაც WTA-ს კლასიფიკაციაში 385-ე საფეხური უკავია.

მალიორკული შეჯიბრის საკვალიფიკაციო ეტაპზე კიდევ ერთი ქართველი, 15 წლის გვანცა რობაქიძეც თამაშობდა, თუმც პირველივე შეხვედრაში 1:6 3:6 დამარცხდა ესპანელ თანატოლთან, მარია-ხესუს იბანეს-გალინდოსთან.

იტალიურ ბარიში კი, ასევე ITF-ის ეგიდით, კაცთა ტურნირია, რომელიც ჩვენებური ნოდარ ითონიშვილისთვის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველივე წრეში დასრულდა. 16 წლის იტალიელ ჯაკომო ორადინისთან შეხვედრის პირველი სეტი ქართველმა 3:6 დათმო და შემდეგ კი საერთოდ შეწყვიტა თამაში.

# სანდრო დავლიანიძემ ბულგარეთი გაინაღდა

**ლეილა მესხის** ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე 14-წლამდელთა შორის საქართველოს ჩემპიონი ბიჭებმაც გამოავლინეს. თბილისელმა სანდრო დავლიანიძემ 16 ჩოგბურთელში იმარჯვა და საუკეთესოს წოდებასთან ერთად ალმოსავლეთ ევროპის ჩემპიონატის საგზურიც მიიღო. ჩემპიონატის ფორმატი ისეთივე იყო, როგორც წინა დღით დამთავრებული გოგონათა ანალოგიური ტურნირის. რეიტინგით შერჩეულმა 16 მეჩოგნემ ნახევარფინალამდე ოლიმპიური სისტემით ითამაშა, იქ კი საუკეთესო ოთხეულმა პირველობისკენ სვლა წრიული სისტემით განაგრძო. მეორე ადგილი ბათუმელმა გიორგი ხოხბამ დაიკავა. ალმოსავლეთ ევროპის 14-წლამდელ გოგონათა და ბიჭთა 2008 წლის ჩემპიონატს ბულგარეთის ქალაქი ხასკოვო უმასპინძლებს.

**ლექსო მაისურაძე**

# ქალები

**განთესვის რეიტინგი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 6555 |
| 2. | ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 3827 |
| 3. | სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 3760 |
| 4. | ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 3695 |
| 5. | მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3061 |
| 6. | ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 2925 |
| 7. | ვინუს უილიამსი (აშშ) | 2720 |
| 8. | დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 2682 |
| 9. | მარიონ ბარტოლი (საფრანგეთი) | 2198 |
| 10. | სერენა უილიამსი (აშშ) | 2022 |
| 11. | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1915 |
| 12. | ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1817 |
| 13. | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1756 |
| 14. | ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1638 |
| 15. | დინარა საფინა (რუსეთი) | 1632 |
| 16. | ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1632 |
| 17. | შაჰარ პირი (ისრაელი) | 1480 |
| 18. | აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 1478 |
| 19. | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1398 |
| 20. | სიბილ ბამერი (ავსტრია) | 1286 |

**საჩემპიონო რბოლა**

| | | |
|---|---|---|
| 1. | მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1000 |
| 2. | ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 825 |
| 3. | დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 555 |
| 4. | ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 525 |
| 5. | ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 520 |
| 6-7. | ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 366 |
| 6-7. | აგნეშკა რადვანსკა (პოლონეთი) | 366 |
| 8. | ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 300 |
| 9. | სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 280 |
| 10. | ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 266 |
| 11-12. | ვინუს უილიამსი (აშშ) | 250 |
| 11-12. | სერენა უილიამსი (აშშ) | 250 |
| 13. | ნა ლი (ჩინეთი) | 230 |
| 14. | კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) | 225 |
| 15. | ვირჟინი რაზანო (საფრანგეთი) | 196 |
| 16. | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 195 |
| 17. | აგნეს სჟავაი (უნგრეთი) | 193 |
| 18. | ვიკტორია აზარენკა (ბელარუსი) | 192 |
| 19. | შაჰარ პირი (ისრაელი) | 190 |
| 20. | კეისი დელაკუა (ავსტრალია) | 186 |

## დევისის თასი. მერვედფინალი. 8-10 თებერვალი

# რუსებმა ჯოკოვიჩს საავადმყოფოში მოუგეს

**რუსეთი 3:2 სერბეთი**
**ჩეხეთი 3:2 ბელგია**
**რუმინეთი 0:5 საფრანგეთი**
**პერუ 0:5 ესპანეთი**
**არგენტინა 4:1 ბრიტანეთი**
**ისრაელი 2:3 შვედეთი**
**გერმანია 3:2 ს. კორეა**
**ავსტრია 1:4 აშშ**

**ფედერაციის** თასისგან განსხვავებით, დევისის თასის პირველი წრე გაცილებით უინტერესო გამოდგა. ქალებში ფავორიტებს ძალიან გაუჭირდათ და ერთი-ორი სიურპრიზიც ვიხილეთ, კაცთა ნაკრებების მერვედფინალები კი სავსებით ლოგიკური გამოვიდა.

მოსალოდნელი ჯახის ნატამალიც კი ვერ ვიხილეთ სლავური დერბისგან — რუსებმა მთლიანობაში ადვილად გაიკვალეს გზა მეოთხედფინალისკენ, მაგრამ ამას ძირითადად იმას უნდა უმადლოდნენ, რომ ბალკანელთა სუპერვარსკვლავ ნოვაკ ჯოკოვიჩს გაციების გამო თამაში ფაქტობრივად არ დასცალდა. ამას გარდა, საერთოდ არ გასულა კორტზე სტუმართა მეორე ნომერი იანკო ტიპსარევიჩიც, რამაც სერბებს თითქოს წარმატების ყველა იმედი მოუსპო.

ამდენი უიღბლობის გადამკიდე ბალკანელებმა პირველ სათამაშო დღეს მიხაილ იუჟნის ნენად ზიმონიჩი დაუპირისპირეს, რომელმაც რუსს სეტი კი აართვა, მაგრამ ამის მეტს ვერას გასწვდა. აი, ახალგაზრდა ვიქტორ ტროიცკიმ კი ბოლომდე იომა და ნიკოლაი დავიდენკოს ლამის თავიც შეაკლა, მაგრამ კლასმა მაინც თავისი გაიტანა და რუსები 2:0 დაწინაურდნენ, ასეთი ჩამორჩენის ალმოფხვრა კი თითქმის არ ხდება ხოლმე. ამის მიუხედავად, ჯოკოვიჩს სრულიად გამოჯანმრთელება რომ მოესწრო, სერბებს ჯერ კიდევ ექნებოდათ რაღაც შანსი — სანახევროდ მორჩენილმა ნოვაკმა ხომ დაამტკიცა, რომ მისი დონის მეჩოგნე რუსებს დღეისთვის ნამდვილად არ ჰყავთ. ჯოკოვიჩმა ჯერ ზიმონიჩთან წყვილში მოუტანა ქულა ბალკანელებს, კვირას კი ლუჟნიკებზე შეკრებილ მაყურებელსა და მსოფლიოს მეოთხე ჩოგან დავიდენკოს ნათლად დაანახვა თუ რის ხარჯზე იმარჯვა ავსტრალიის ღია პირველობაზე — 20 წლის სერბმა პირველ ორ სეტში უადვილესად მიჩოგნა მასპინძელი და მესამეში 3:0 წინ იყო. თითქოს ანგარიში უნდა გათანაბრებულიყო და ყველაფერი მეხუთე და გადამწყვეტ შეხვედრაში გადაწყვეტილიყო. თუმც აქ ჯოკოვიჩს ავადმყოფობა შეუბრუნდა და იმდენად ცუდად იგრძნო თავი, რომ ჯერ მესამე სეტი სრულიად უკბილოდ წააგო, შემდეგ კი თამაშის გაგრძელებაც ვერ მოახერხა და მალე საერთოდ საავადმყოფოში მოხვდა. ასე უიღბლოდ დასრულდა სერბთა პირველი გაელვება დევისის თასის მსოფლიო ჯგუფში.

ლიდერის არყოფნის გამო განადგურდნენ ბრიტანელებიც — ენდი მიურეიმ თამაში ვერ შეძლო და არგენტინელებმაც არ დაინდეს მომხდურები. პატაგონიელებმა საქმე პირველ ორ დღეს მოათავეს და კვირის მატჩებს მნიშვნელობა დაუკარგეს. ბრიტანელებს სინდისი ჯეიმი ბეიკერმა მოსწმინდა, როცა ბოლო შეხვედრაში აგუსტინ კალერი დასცა და ნაკრებს ნულზე მარცხი თავიდან აარიდა.

სამაგიეროდ, ნულზე წააგეს რუმინელებმა და პერუელებმა. თუ დებიუტანტ სამხრეთამერიკელთა ესპანელთაგან განადგურება კიდევ ასე თუ ისე გასაგებია, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა რუმინელთა ამდენად კატასტროფულ წაგებას. თუმც ჯერ რიშარ გასკემ და ჟო-ვილფრიედ ცონგამ, შემდეგ კი არნო კლემანმა და მიშელ ლოდრამ (წყვილებში და კვირის ერთეულთა შეხვედრებში) მასპინძლები არ დაინდეს და მეოთხედფინალში ლაღად შეაბიჯეს.

ანგარიშის მიუხედავად, ბრძოლის ნასახიც არ ყოფილა გერმანია — სამხრეთ კორეისა და ჩეხეთ — ბელგიის შეხვედრებში. ტომაშ ბერდიხის მეთაურობით, ჩეხებმა საქმე სულაც პირველ ორ დღეს მოილიეს და შემდეგ შესაშური სტუმართმასპინძლობა გამოავლინეს, როცა სტუმრებს კვირის არაფრის გადამწყვეტი მატჩები დაუთმეს, რითაც ბენელუქსელებს გულის მოოხების საშუალება მისცეს.

აი, გერმანელებმა ჩეხებივით იოლად ვერ იხეირეს, მაგრამ მთლიანობაში მათაც ზედმეტი თავის ტკივილის გარეშე გადაწყვიტეს მეოთხედფინალში გასვლის საკითხი. აზიელთა ლიდერი ჰიუნგ-ტაიკ ლი ბევრს ეცადა, მაგრამ ფილიპ კოლშრაიბერმა არ დაანება და თავის ნაკრებს ლამის მარტომ მოაგებინა — ერთეულთა ორივე შეხვედრაში იმარჯვა, რასაც წყვილებში ფილიპ პეცშნერთან მოგებაც მიაყოლა და გერმანელთა წარმატების მთავარი შემოქმედიც შეიქნა.

ასევე იოლად იმარჯვეს მოქმედმა ჩემპიონმა ამერიკელებმა. იანკთა კაპიტანი პატრიკ მაკინროი კი შიშობდა, ჩემს ბიჭებს თიხნარზე გაუჭირდებათო, მაგრამ ბევრი სანერვიულო არ ჰქონია. პარასკევს ენდი როდიკმა და ჯეიმს ბლეიკმა მაგრად იწვალეს, მაგრამ იურგენ მელცერი და შტეფან კუბეკი მაინც წააქციეს, შემდეგ უკვე ძმებმა ბრაიენებმაც ჩვეულად იყოჩაღეს და წყვილის გამარჯვებულის ბედიც გაირკვა.

რაც უნდა გასაკვირი იყოს, ყველაზე დაძაბული ჯახი ისრაელურ უდაბნოში გაიმართა, სადაც მასპინძლებს სულ ცოტა დააკლდათ გვარიანი სენსაციის გამოცხობამდე — ებრაელები პირველი ორი სათამაშო დღის შემდეგ 2:1-ს უგებდნენ შვედებს, რომლებიც ისრაელის თაკარა მზის ქვეშ აშკარა დისკომფორტს გრძნობდნენ და არც ადგილობრივი გულშემატკივრების სიგიჟეს ელოდნენ. თუმც კვირას გამოცდილმა ვეტერანებმა — იონას ბიორკმანმა და ტომას იოჰანსონმა — თავისი გაიტანეს და ვიკინგები სირცხვილს გადაარჩინეს.



არგენტინელებმა ბრიტანელებთან გამარჯვება შამპანურით იზეიმეს

**კახა ლომაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი. სუპერლიგა. XVI ტური

# თავდაკარგული რუსთავი ჯერაც თავშია

ირაკლი ფირაშვილი რუსთავიდან

11 თებერვალი. რუსთავი

**ენერჯი ინვესტი 67:79 ვითა**

*15:27 15:18 21:19 16:15*

**ენერჯი ინვესტი:** ჩიტაშვილი (14), ლეჟავა (6), ბოისა (12 ქულა, 8 მოხსნა), დიდია (8), სტეფანოვი (12 ქულა, 11 მოხსნა); ტუჯანი (9), ლიპარტელიანი (6), გოგობერიშვილი, ჭოჭუა

**ვითა:** წივწივაძე (11 ქულა, 8 მოხსნა, 6 პასი), მარხვაშვილი (25), მ. ბერიშვილი (4), ლ. ნოზაძე (9), გვიმრაძე (20 ქულა, 12 მოხსნა); ბეჟანიშვილი (8), ნ. ნოზაძე (2)

*მსაჯები: დავით ბერეკაშვილი, ხათუნა გაბედავა*
*კომისარი: როლანდ ხომერიკი*

მორიგი თამაში წააგო ბოლო დროს არეულმა და ფორმიდან ამოვარდნილმა რუსთავის „ენერჯი ინვესტმა“, ამჯერად შინ, თანაც სუპერლიგის არცთუ ამბიციურ მკვიდრ „ვითასთან“ და მხოლოდ, ასე ვთქვათ, ძველი დამსახურებების გამო ინარჩუნებს ცხრილში ლიდერობას.

თამაში რუსთაველთათვის არცთუ ავისმომასწავლებლად დაიწყო, მეტოქეებმა რამდენიმე შეტევა გაცვალეს, დაზვერეს ერთმანეთი, მაგარ „ვითამ“ რომ სწრაფად აუღო ალღო თამაშს, ამ დროს რუსთაველები კვლავ ვერ ახერხებდნენ დალაგებას და შეტევას შეტევაზე აფუჭებდნენ. სხვაობა კი იზრდებოდა და ჩემპიონატის ლიდერთათვის სახიფათო სახეს იღებდა. „ვითა“ სამი ორმეტრიანი კალათბურთელით იდგა ზონურ დაცვაში და ხელ-ფეხს უბორკავდა მაღალ მასპინძლებს დიდიას და სტეფანოვს. მასპინძლებმა ვერც უკანა ხაზზე გაიმყარეს პოზიცია — სამქულიანები აცილეს და თავიდანვე დაუდეს სათავე უიღბლო შორ სროლებს. აქვე ვთქვათ, მათარც მეტი არც ნაკლები, 34 სამქულიანი ისროლეს და მხოლოდ 6 ჩააგდეს, ასეთი შედეგით კი „ვითასთან“ კი არა მის დუბლებთანაც კი წააგებ. ხშირ შემთხვევაში რუსთაველთა შორი სროლები განპირობებული იყო სტუმართა საიმედო დაცვით ფარქვეშ. მასპინძლებს უბრალოდ სხვა გზა არც რჩებოდათ, გარდა იმისა, რომ ბედი შორიდან ეცადათ. ვერ აგდებდნენ და მარცხის მთავარი მიზეზიც ეს გახდა.

„ვითამ“ უკვე პირველ მეოთხედში მაღწია მნიშვნელოვან უპირატესობას, როცა სხვაობა 10 ქულის აცილა. მაშინ, როცა „ენერჯი ინვესტი“ შეტევაში წვალობდა, ვითელებმა გვიმრაძემ და ბერიშვილმა რიგრიგობით ჩააგდეს სამქულიანები, შემდეგ კი წივწივაძემ ჯერ ორქულიანი ჩააგდო, შემდეგ კი ერთ შეტევაში სამი ქულა გაახერხა და პირველი მეოთხედში 12-ქულიანი უპირატესობა მოუტანა თავის გუნდს.

სურათი დიდად არც მეორე მეოთხედში შეცვლილა. პირიქით, „ვითამ“ კიდევ უფრო გაიმყარა უპირატესობა. ეს თორმეტწუთეული რუსთაველმა ჟოლივეტ ტუჯანიმ კი გახსნა ორიანით, მაგრამ მერე 4 წუთი მხოლოდ თბილისელები ნახულობდნენ ხეირს — კარგად იხსნებოდნენ და კარგადაც ესროდნენ. ასე გააკეთეს 11 უპასუხო ქულა. ისევ ტუჯანიმ დაარღვია რამდენიმეწუთიანი უიღბლობა, მაგრამ რუსთაველ-კამერუნელის ორიანს ვითელმა ვაკო ბეჟანიშვილმა სამიანით უპასუხა და სხვაობამ 20 ქულას უწია.

რუსთავთან ასეთ გასეირნებას თავად ვითელებიც არ მოელოდნენ, მაგრამ წარმატებამ თავბრუ როდი დაახვია ზურაბ ტომარაძის შეგირდებს. „ენერჯი ინვესტი“ ბოლოს და ბოლოს რომ მოვიდა გონს, ენერგიულად ათამაშდა და სხვაობის გაბათილება დაიწყო, სტუმრებიც არ ისხდნენ უქმად და 11 ქულაზე ახლოს არ მოუშვეს მეტოქე. პირველი ტაიმი 15-ქულიანი სხვაობით დასრულდა და ვითამ გაუძლო გაცილებით დაძაბული მეორე ტაიმის რუსთავულ წნეხსაც. ვერა და ვერ გატეხეს მასპინძლებმა მეტოქე. ეს რომ მოეხერხებინათ, გაცილებით რაციონალურად და ყურადღებიანად უნდა ეთამაშათ შეტევაში, მაგრამ დაცვაში წვალევით მოპოვებულ ბურთებს იოლად კარგავდნენ. და კიდევ, მათ ასე თუ ისე დაალაგეს დაცვაში თამაში, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს „ვითას“ ლიდერ გიორგი მარხვაშვილს და მის ელეგანტურ გარღვევებს.

მატჩის დამთავრებამდე ზუსტად ერთი წუთით ადრე გეგი ლიპარტელიანმა უამრავი რუსთაულიდან იშვიათი ზუსტი სამქულიანით 10 ქულამდე შეამცირა სხვაობა. ამის მეტი ველარაფერი შეძლეს მასპინძლებმა და ყველასთვის, თვით „ვითასთვის“ მოულოდნელადაც, სუპერლიგაში მესამე თამაში წააგეს.

# მარკოიშვილი თასზე დაითარსა

**გასული კვირა ევროპის დიდი ნაწილისთვის სათასო იყო. ძველი კონტინენტის უმეტეს ქვეყნებში ეროვნული ჩემპიონატების მოწინავე 8 გუნდმა თასი გაითამაშა, თუმც ზოგიერთგან რიგითი ტურებიც გაიმართა და ჩვენც თანმიმდევრობით მივყვეთ. აქედანვე ვთქვათ, რომ სათასო მატჩებში მხოლოდ მანუჩარ მარკოიშვილს მოუწია ბრძოლა, რადგან იტალიაში მოთამაშე ნიკა ცქიტიშვილისა და „ესპანელი“ ტაირონ ელისის გუნდები არ არიან თავიანთი ჩემპიონატების მოწინავე რვეულში და შესაბამისად ამ უქმეებზე უქმობდნენ**

### უკრაინა

როგორც ვთქვით, მარკოიშვილი ერთადერთი იყო ქართველი ლეგიონერებიდან, რომელმაც სათასო მატჩებში ითამაშა. მისი „ბკ კიევი“ უკრაინაში მოწინავეა და ქართველი უკანახაზელიც ვარაუდობდა, რომ თავის ტიტულთა კოლექციას კიდევ ერთ ჯილდოს შემატებდა, მაგრამ...

დასავლეთევროპული ქვეყნებისგან განსხვავებით, რაკი ბევრი ძლიერი გუნდი არ ჰყავთ, უკრაინაში 4 მოწინავე გუნდი ჩაება თასის გათამაშებაში. ჩემპიონატში წაუგებელმა კიეველებმა პირველი ბარიერი „სუმიხიმპრომის“ ძლევით გაიარეს, თუმცა ამ მატჩის შედეგი დამაფიქრებელი გახლდათ. მარკოიშვილის უკრაინაში უძლეველმა გუნდმა მხოლოდ 5 ქულით დაჯაბნა ენისგასატეხი სახელის მქონე მეტოქე და ფინალში გავიდა, სადაც მას უკრაინის სიძლიერით მეორე კლუბი, მარიუპოლის „აზოვმაში“ ელოდა.

აქვე ვთქვათ, რომ ქართველი ლეგიონერისთვის ეს იყო ყველაზე უიღბლო უიქენდი, რაც უკრაინაშია. მარკოიშვილმა ვერც ერთ სათასო მატჩში ვერ გამოიჩინა თავი. „სუმიხიმპრომთან“ მან მხოლოდ 14 წუთი გაატარა მოედანზე და 4 სამქულიანი მცდელობიდან 1 გაარტყა მიზანში. მისი მონაგარიც ეს იყო — 3 ქულა, რასაც 2 მოხსნაც შეაშველა. მას არ ჰქონია არც პასი და არც ჩაჭრა და მოულოდნელად, ერთი დაფარება კი მიითვალა.

აი, ფინალი კი სრული კრახი გამოდგა როგორც მარკოიშვილისთვის, ისე „ბკ კიევისთვის“. დედაქალაქელებმა პირველი საამსეზონო მარცხი იწვნიეს შინაურ სარბიელზე. თანაც ისე წააგეს, რომ წარმატების შანსი არ მისცემიათ.

მარკოიშვილის გუნდმა მეტნაკლებად თანაბარი პირველი მეოთხედის შემდეგ მეორე პერიოდის საწყის 9 წუთში თამაშიდან ბურთი ვერ ჩააგდო და მარიუპოლელებს 21:2 გაქცევის საშუალება მისცა. მეორე ტაიმში რას არ ეცადა კიეველთა სლოვენიელი მწვრთნელი ტომო მაჰორიჩი, მაგრამ წახდენილი საქმის გამოსწორება ველარ შეძლო. როგორც „მგლების“ (კიეველთა მეტსახელია) ვებგვერდი იუწყება, მაჰორიჩმა ბოლოსკენ ნომინალურ გამთამაშებლებზე უარი თქვა და პლეიმეიკერად მარკოიშვილი გაამწესა, მაგრამ ამ ავანტიურისტულმა ექსპერიმენტმაც არ გაამართლა. კიეველებმა საბოლოოდ 63:73 წააგეს.

ქართველმა „გამთამაშებელმა“ მოედანი უქულოდ დატოვა. მან თამაშიდან ხუთივე სროლა ააცილა, სხვაფრივ კი 1 მოხსნა, 1 პასი და 2 ჩაჭრა დააგროვა.

### ესტონეთი

გასული კვირის საუკეთესო ისევ გიო ცინცაძეა. ტარტუს „როკის“ გამთამაშებელმა ესტონეთის ჩემპიონატში 2 მატჩი ჩაატარა და განსაკუთრებით გუშინწინდელ თამაშში ისახელა თავი.

10 თებერვალს „როკერები“ რაკვერეში „ტარვასს“ ესტუმრნენ და იოლად, 101:72 იმარჯვეს. ჩვენთვის საინტერესო ადამიანმა ამ შეხვედრაში 22 ქულა, 9 პასი, 4 მოხსნა და 3 ჩაჭრა მოიმკა. ვერაფერს იტყვი, სერიოზული შედეგია და ცინცაძისგან ბალტიის ქვეყნებში ეს აღარავის უკვირს. ქართველ ლეგიონერს იქ ყველა იცნობს და ეს ბალტიის ლიგის საოლსტარო გამოკითხვაშიც გამოჩნდა. ცინცაძეს მთელი ბალტიის მასშტაბით მხოლოდ ორმა მოთამაშემ გადაუსწრო ხმების ოდენობით და მანაც დამსახურებულად ითამაშა ყველა ვარსკვლავის მატჩში.

„ტარვასსთან“ ცინცაძე შეუდარებელი იყო და რაც ყველაზე სასიამოვნოა, მან სამქულიანები ბრწყინვალედ ისროლა. აქამდე გიოს ბევრი შორი ტყორცნა ჰქონდა აცდენილი, თუმცა რაკვერეში 8 ცდიდან 6 გაარტყა მიზანში, რაც ნებისმიერი სნაიპერისთვის საოცნებო შედეგია.

გასული კვირის მეორე (ქრონოლოგიურად პირველ) მატჩში კი ცინცაძე „ფაუსტოსთან“ 11 ქულას, 7 მოხსნას, 6 პასს, 1 ჩაჭრას და 1 დაფარებას „დასჯერდა“. გიოსგან რაგინდარა სტატისტიკური მაჩვენებლების ბარაქიანად დაჭაშნიკება ჩვეული ამბავია და ამიტომაც ითვლება ბალტიის ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო გამთამაშებლად. თავად შეხვედრა კი, რა თქმა უნდა, „როკმა“ მოიგო — 91:67.

### საბერძნეთი

ვლადიმერ ბოისას „არისი“ ბერძნულ ჩემპიონატში მესამე ადგილზეა და თუ მეტის პრეტენზია ჰქონდა, გასული ტურის მატჩი აუცილებლად უნდა მოეგო. ელადაში ოდითგანვე 2 ტიტანი ბუდობს და სალონიკელები გუშინწინ ერთ-ერთ მათგანს, პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ ხვდებოდნენ, რომელიც „პანათინაიკოსთან“ ერთად „არისს“ ცხრილში ზემოდან დაჰყურებს.

გორდონ ჰერბერტისა და ვლადიმერ ბოისას გუნდმა მართლაც გაუმართა ბრძოლა „ოლიმპიაკოსს“, საპირველტაიმო 19-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ ანგარიში ბოლო მეოთხედში გაათანაბრა, მაგრამ ბოლომდე საომრად ძალები აღარ ეყო და მაინც დიდი სხვაობით წააგო — 61:81.

ბოისამ ამ შეხვედრაში 14 წუთი ითამაშა და დიდი ვერაფერი, 2-2 ქულა-მოხსნა მიითვალა.




ზაზა ფაჩულია წლეულს ძველებურად ველარ ტენის

### ნბა

გვარიანი უქმობის შემდეგ იმედისმომცემი მატჩი ჩაატარა ზაზა ფაჩულიამ. თანაც იმ დღეს, 10 თებერვალს, „ატლანტამ“ „ჰიუსტონთან“ უიმედოდ რომ წააგო, ქართველ ცენტრს დაბადების დღეს ჰქონდა და თავის უშუალო კონკურენტ ალ ჰორფორდზე მეტი და რაც მთავარია, შედეგიანად ითამაშა. 29 წუთში ზაზამ 11 ქულას და 9 მოხსნას მოუყარა თავი და მწვრთნელს შეახსენა, რომ გუნდში ახალბედა ჰორფორდის გარდა არცთუ სუსტი ცენტრიც ჰყავს. გასული კვირის მანამდელ 2 შეხვედრაში ზაზამ ჯამში 18 წუთი ითამაშა და 2 ქულას და 3 მოხსნას მოუყარა თავი.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

10 თებერვალი

**ბოსტონი 98:90 სან ანტონიო**
ბოსტონი: პირსი (35), რონდო (5 ქულა, 11 მოხსნა, 12 პასი)
სან ანტონიო: დანკანი (22 ქულა, 14 მოხსნა), ჯინობილი (21)

**ნიუ ჯერსი 101:82 დალასი**
ნიუ ჯერსი: კარტერი (29), ჯეფერსონი (19)
დალასი: ნოვიცკი (21), ჰოვარდი (16)

**დეტროიტი 113:87 შარლოტი**
დეტროიტი: პრინსი (21), ჰამილტონი (18)
შარლოტი: რიჩარდსონი (27), ფელტონი (14)

**მინესოტა 82:105 ტორონტო**
მინესოტა: ჯეფერსონი (18), იარიჩი (11)
ტორონტო: ბარნანი (16), კალდერონი (15 ქულა, 10 პასი)

**კლივლენდი 83:113 დენვერი**
კლივლენდი: ჯეიმსი (30), ჰიუზი (14)
დენვერი: ენტონი (27), აივერსონი (25 ქულა, 13 პასი)

**ფინიქსი 108:107 ვაშინგტონი**
ფინიქსი: სტუდემაიერი (31 ქულა, 13 მოხსნა), ბელი (21)
ვაშინგტონი: ჯემისონი (28 ქულა, 10 მოხსნა), ჰეივუდი (21)

**მაიამი 94:104 ლეიკერსი**
მაიამი: ბლუნტი (22), ვეიდი (19), მერიონი (15 ქულა, 14 მოხსნა)
ლეიკერსი: ბრაიანტი (33), ოდომი (15 ქულა, 18 მოხსნა)

# გარნეტის ვარსკვლავი რაშიდმა მოწყვიტა

**საოლსტარო** გამოკითხვაში ყველაზე მეტი ხმის მიმღებ და „ბოსტონში" გადაბარგების შემდეგ პირველი ტიტულის მოსაგებად მომართულ კევინ გარნეტს არ გაუმართლა. შესაძლოა, მისი ტრავმა მთლად სერიოზული არაა, მაგრამ მის მოშუშებას კიდევ ერთი კვირა სჭირდება და ეს კი იმას ნიშნავს, რომ „ქეი-ჯეი" ყველა ვარსკვლავის მატჩს გამოტოვებს.

ლიგის მესვეურებმა გარნეტს უკვე მოუნახეს აღმოსავლეთის ვარსკვლავთკრებულში შემცვლელი, თუმც სანამ ნბა-ს კომისიონერ დავიდ შტერნის ოფისი მის ვინაობას გამოაქვეყნებდა, მწვრთნელი სულ სხვა მოთამაშის შემატებას ეშურებოდა.

„ბოსტონ სელტიქსისა" და აღმოსავლეთ საოლსტარო გუნდის თავკაცმა ხმამაღლა განაცხადა, რომ სურდა, თავისთან ეხილა ბოსტონელთა ერთ-ერთი ლიდერი რეი ალენი...

„რეი იმსახურებს ოლ სტარს, მან უნდა ითამაშოს ყველა ვარსკვლავის მატჩში. ძალიან გამიკვირდება, თუ ალენს გარნეტის ნაცვლად არ ჩასვამენ ჩემს გუნდში".

დოკ რივერსის ამ სიტყვებს ნბა-ს მამებმა ყური არ ათხოვეს და გუშინ შტერნის ოფისმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ გარნეტის ადგილს აღმოსავლეთის გუნდში დეტროიტელი რაშიდ ვოლესი დაიკავებს.

„დეტროიტის" თავქარიანი ფორვარდ-ცენტრისთვის ეს ნამდვილი საჩუქარი გახლდათ, თუმც „შიდის" ოლ სტარის გემო აქამდეც უგემია. ვოლესი მიმდინარე სეზონში საშუალოდ 12,9 ქულასა და 7,3 მოხსნას იხვეჭს და საოლსტარო გუნდის ბოლო კაცად ყოფნას ალალად იმსახურებს. მას იქ ორი თანაგუნდელი დახვდება — ჩონსი ბილაფსი და რიჩარდ ჰამილტონი. ასე რომ, „დეტროიტი" ოლ სტარში უმეტესი, 3 მოთამაშით იქნება წარმოდგენილი.

რაც შეეხება გარნეტს, მან 25 იანვრის „მინესოტასთან" მატჩი უნდა წყევლოს, როდესაც მუცლის კუნთი დაიზიანა და მიჯრით 7 მატჩი ხომ გამოტოვა და აგერ, ოლ სტარიც განზე დარჩა.

**ირაკლი ბერტაია**



კევინ გარნეტის ადგილი რაშიდ ვოლესმა დაიკავა





# ძველ პრობლემებს ახალი დაემატა

## ცუდი ტენდენცია: წყალბურთელები სხვებთან მიდიან

წყალბურთელთა ნაკრები უკრაინიდან დაბრუნდა, სადაც იქაური ღია პირველობის მეორე ტურის სამ თამაშში ორი მოგება მიითვალა. უკვე გამცნეთ, რომ ჩვენებს ყაზახეთის ნაკრების ჩამოუსვლელობის გამო სამი ქულა უბრძოლველად ჩაეწერათ, სევასტოპოლის გუნდს რთულ თამაშში 11:10 აჯობეს, „ხარკოვთან" კი 8:12 წააგეს.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე, უფინანსობის გამო ვერ მოხერხდა ლეგიონერთა ჩამოყვანა და ერთადერთი, ვინც ბიჭების დახმარება შეძლო, ეს პავლე ჯაფარიძე („ჰანოვერი", გერმანია) იყო. მანაც მხოლოდ ორი დღით მოახერხა გათავისუფლება, ნაკრებს გამთენიისას შეუერთდა და საკმაოდ დაღლილს მოუწია გარჯა.

უფრო დაწვრილებით უკრაინულ ამბებზე ნაკრების თავკაცმა **სოსო მაისურაძემ** გვიამბო



— ყაზახეთის ნაკრები იმიტომ არ ჩამოვიდა, რომ 17 თებერვალს პეკინის ოლიმპიადის შესარჩევი თამაშები ეწყებათ და გადაწყვიტეს, სხვა ნაკრებს გაეჯიბრონ. მათ ჩათვალეს, რომ აჯობებს, ამ ეტაპზე უფრო ძლიერ გუნდებთან ითამაშონ. ჩვენ ამის გამო სამი ქულა კი ჩაგვეწერა, მაგრამ შესაძლოა, ყაზახებმა საერთოდ უარი თქვან უკრაინაში თამაშზე და მაშინ ეს ქულები გაგვიუქმდება. სევასტოპოლის გუნდთან მსაჯებმა სისხლი გაგვიშრეს, ოთხი მარტო პენალტი დაგვინიშნეს. თუ მსაჯს შენი დაჩაგვრა უნდა, ამას იოლად აკეთებს, ერთ წყალბურთელს გაგიგდებს და მეტოქეს ზედმეტი კაცის კომბინაციის გათამაშების საშუალებას მისცემს. „ხარკოვთან" გამოცდილი სანდრო ხვედელიანი დაგვემტვრა და მის მაგივრად აუზში დებიუტანტის ჩაშვება მოგვიხდა. ამ დროს მთელი გუნდი ირევა, რადგან გამოუცდელი მოთამაშე დავალებას სრულფასოვნად ვერ ასრულებს და მთელ რგოლში რაღაც ირღვევა. მერე წუთშესვენება ავიღე და ხვედელიანს ხელი გავუყინეთ. თამაში რომ განახლდა, სანდრო დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანეს გუნდელებმა, მაგრამ ბიჭმა ხელი ვერ ამოწია წყლიდან. მოკლედ, წავაგეთ, მაგრამ სასაყვედურო სიტყვა ვერ დამცდება. ყველამ თავდადებით იბრძოლა.

— უკვე ამდენი წელია, წყალბურთელებს ერთი და იგივე პრობლემები გაწუხებთ, რაში ხედავთ გამოსავალს?

— მაგალითად, „ხარკოვს" იქაური ბიზნესმენი მიხეილ ჯიმშიაშვილი პატრონობს და ხელისგულზე ატარებს. ამ კაცმა კლუბის დახმარება მას მერე შეძლო, რაც უკრაინაში ბიზნესი გადასახადისგან გათავისუფლდა სპორტის დახმარების სანაცვლოდ. იგივე ხდება რუსეთში და ვფიქრობ, გამოსავალი საქართველოშიც ეს იქნება. სწორედ ამის ბრალია, ამდენი წელი ერთი ბიზნესმენი რომ არ გამოჩნდა, ვინც წყალბურთს დაეხმარებოდა. ჩვენ ხომ განსაკუთრებულს არაფერს ვითხოვთ. მეც და ბიჭებიც უხელფასოდ ვმუშაობთ. არ გვინდა, რომ საქართველოში ეს სპორტი მოკვდეს...

ერთსაც გეტყვით, ამ ბიზნესმენმა ქართველებს რომ უყურა, თქვა, ასეთი ჯიგრიანი ბიჭები მეც რომ მყავდეს, ძალიან მაგარ გუნდს გავაკეთებდიო.

გვინდა, რომ „ხარკოვი" თბილისშიც მოვიწვიოთ, თუმც ეს ჯერ ვერ მოხერხდება, რადგან აუზი არ არის. დათბება და იქნებ მოვახერხოთ მათი ჩამოყვანა. ჩვენ იქ კარგად მიგვიღეს და მატჩის შემდეგ რესტორანშიც დაგვპატიჟეს.

— გალაქტიონ ლაითაძე „ხარკოვში" გადავიდა და თქვენ წინააღმდეგ ითამაშა...

— ლაითაძე იმ პირობით გავუშვით, რომ ჩვენთან არ უნდა ეთამაშებინათ, თუმც სიტყვა გატეხეს და რამდენიმე წუთით აუზში ჩაუშვეს. თვითონ ლაითაძე ბიჭებთანაც მოვიდა, ელაპარაკა. მასზე რა უნდა ვთქვა?! ჩვენი ბრალია ყველაფერი, ვერ შევუქმენით აქ სათანადო პირობები და წავიდა. თუ ასეთი ტენდენცია გაგრძელდა, მაშინ სხვა პერსპექტიულ ბიჭებსაც დავკარგავთ. ზურა რურუასა და სანდრო ხვედელიანზე ნადირობაა გამოცხადებული. ახლა „ლაგუნა ვერეს" ხელმძღვანელობას ვთხოვთ, რომ აუზზე შეგვიშვან. თან იქ დარბაზში ბიჭებს ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესების საშუალებაც ექნებათ. მალე „ქარიშხალიც" გარემონტდება და ალბათ ისევ დავუბრუნდებით. მომდევნო ტური მარტის დასაწყისში გველის და გვინდა, ლეგიონერები მაშინ მაინც ჩამოვიყვანოთ, რადგან რთული მეტოქეები გვეყოლება — ბელარუსის ნაკრებთან, „მარიუპოლთან" და დნეპროპეტროვსკის გუნდთან მოგვიწევს ურთიერთობის გარკვევა.

**ლექსო მაისურაძე**



# ჯობავამ ნახევარი ქულით იზარალა

## მოსკოვში ფიდეს ახალი რეკორდი დამყარდა



**მოსკოვში** დიდი საერთაშორისო ტურნირი „MOSCOW OPEN" დასრულდა. გათამაშება შვეიცარიული სისტემით 9 ტურად ჩატარდა და პირველი ადგილი 7,5 ქულით რუსმა არტურ ტიმოფეევმა მოიპოვა. მასპინძელს ნახევარი ქულით ჩამორჩა ჩვენებური ბაადურ ჯობავა, რომელიც საბოლოოდ მეექვსე ადგილზე გავიდა. ქართველმა ხუთი მატჩი მოიგო, ოთხი კი ყაიმით დაასრულა და მთავარ ჯილდომდე ცოტა დააკლდა.

პარალელურად ქალთა ტურნირიც გაიმართა და მისი გამარჯვებული რვა ქულით სლოვენიელი ანა მუჟიჩუკი გახდა. შეჯიბრში ოთხი ქართველიც მონაწილეობდა და ყველაზე უკეთ სალომე მელია გამოვიდა. მან 6,5 ქულა დააგროვა და მერვე ადგილი დაიკავა. დანარჩენებმა 6:6 ქულა აიღეს და ადგილები ასე გადაინაწილეს: სოფიო გვეტაძე მეთხუთმეტეზე გავიდა, ლელა ჯავახიშვილი 21-ზე, ხოლო ნაზი პაიკიძე 22-ზე.

შეჯიბრის დახურვას ფიდეს პრეზიდენტი კირსან ილუმჟინოვი დაესწრო და ყველას მადლობა გადაუხადა.

„ფესტივალში დაახლოებით 1200-მა მოჭადრაკემ ითამაშა და ჩვენს საიტზე მილიონზე მეტი გულშემატკივარი შემოვიდა. ფიდეს ეგიდით ჩატარებული ტურნირებისთვის კი ეს ახალი რეკორდია" — განაცხადა პრეზიდენტმა.

გათამაშების საპრიზო ფონდი 3 მილიონი რუბლი იყო და პრიზიორებმაც საკმაო თანხა ჩაიჯიბეს.

**ლაშა გეგეჭკორი**

# ორი ახალი და ორნი თავში

ანდრეა ფიშბახერმა (№ 11) და ფაბიანა სუტერმა კვარცხლბეკი დურად გაიყვეს




უჩვეულო შედეგით დასრულდა იტალიურ სესტრიერეში მთის მოთხილამურე ქალთა მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგი ეტაპი. სუპერგიგანტის ტრასაზე ერთბაშად ორმა, ავსტრიელმა ანდრეა ფიშბახერმა და შვეიცარიელმა ფაბიენა სუტერმა გაიყვეს პირველი ადგილი და ორივე მათგანისთვის ეს „თეთრი ცირკის" გზებზე მოპოვებული პირველი გამარჯვება იყო.

22 წლის ფიშბახერი უფრო ცნობილი მოთხილამურეა — 2004-05 წლებში მსოფლიოს ჩემპიონი იყო იუნიორთა შორის, ხოლო 23 წლის სუტერს თავი აქამდე არაფრით გამოეჩინა.

ფიშბახერმა და სუტერმა წყვილი გამარჯვება იზეიმეს და უფრო მაგარი ის იყო, რომ ამ სუპერგიგანტის შემდეგ გენერალურ კლასიფიკაციასაც ორნი ლიდერობენ — ამერიკელ ლინდსი კილდოუსა და მსოფლიოს თასის მოქმედ მფლობელს, ავსტრიელ ნიკოლ ჰოსპს 983-983 ქულა დაუგროვდათ.

სწორედ კილდოუმ იმარჯვა სესტრიერიში გამართულ სწრაფდაშვებაში და ეს იყო 23 წლის ამერიკელის მეხუთე საამსეზონო და მე-12 საკარიერო გამარჯვება.

ქალებისგან განსხვავებით, კაცებს გასულ უქმეებზე ოდენ ერთი სტარტი ჰქონდათ. გერმანულ გარმიშ პარტენკირხენში სლალომის ეტაპი გაიმართა და 2006 წლის ტურინის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორის, ავსტრიელი რაინფრედ ჰერბსტის გამარჯვებით დასრულდა.

გენერალურ კლასიფიკაციაში კვლავაც ამერიკელი ბოდე მილერი ლიდერობს და თითქმის ას ქულას უგებს მეორე ადგილზე მყოფ ავსტრიელ ბენჯამინ რაიხს.

**მსოფლიოს თასი. კაცები. გარმიშ პარტენკირხენი. გერმანია. 9 თებერვალი**

**სლალომი**

| | |
|---|---|
| 1. რაინფრედ ჰერბსტი (ავსტრია) | 1 წთ 42,00 წმ (50,97%51,03) |
| 2. მანფრედ მიოლგი (იტალია) | 1.42,65 (51,42%51,23) |
| 3. ივიცა კოსტელიჩი (ხორვატია) | 1.43,18 (51,75%51,43) |
| 4. კრისტიან დევილი (იტალია) | 1.43,29 (51,77%51,52) |
| 5. ჟულიენ ლიზერო (საფრანგეთი) | 1.43,30 (51,56%51,74) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ბოდე მილერი (აშშ) | 1067 ქულა |
| 2. ბენჯამინ რაიხი (ავსტრია) | 969 |
| 3. დიდიე კუშე (შვეიცარია) | 882 |
| 4. ჟან-ბატისტ გრანჟე (საფრანგეთი) | 682 |
| 5. დანიელ ალბრეხტი (ჩეხეთი) | 641 |

**მსოფლიოს თასი. ქალები. სესტრიერე. იტალია. 9-10 თებერვალი**

**სწრაფდაშვება**

| | |
|---|---|
| 1. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 1 წთ 38,86 წმ |
| 2. კელი ვანდერბიკი (კანადა) | 1.39,48 |
| 3. ნადია ფანჩინი (იტალია) | 1.39,63 |
| 4-5. ნადია შტიგერი (შვეიცარია) | 1.39,71 |
| 4-5. რენატა გიოტჩლი (ავსტრია) | 1.39,71 |

**სუპერგიგანტი**

| | |
|---|---|
| 1-2. ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) | 1 წთ 21,06 წმ |
| 1-2. ფაბიანა სუტერი (შვეიცარია) | 1.21,06 |
| 3. მარია რიოში (გერმანია) | 1.21,30 |
| 4. ალექსანდრა მაისნიტცერი (ავსტრია) | 1.21,44 |
| 5. რენატა გიოტჩლი (ავსტრია) | 1.21,53 |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1-2. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) | 983 ქულა |
| 1-2. ლინდსი კილდოუ (აშშ) | 983 |
| 3. მარია რიოში (გერმანია) | 881 |
| 4. ელიზაბეტ გიორგლი (ავსტრია) | 827 |
| 5. მარლიზ შილდი (ავსტრია) | 767 |



## არნახული საქართველო

საქართველოს ნაკრები ირბ-ს რეიტინგში ორი საფეხურით ალზევდა და მე-14 ადგილი დაიკავა. „ლელოები" ჯერ ამ სიმაღლეზე არასდროს ყოფილან. ეს ყველაფერი რუმინეთის 15 ქულით ძლევამ გამოიწვია. ჩვენებმა ერთბაშად რუმინეთს და კანადას გადაუსწრეს და ახლა მე-13 ადგილზე მყოფ ტონგას 4,26 სარეიტინგო ქულით ჩამორჩებიან.

ერთა თასის დარჩენილი შეხვედრები სულ რომც მოვიგოთ, რეიტინგში ალმასვლას მაინც ველარ მოვახერხებთ. ამ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მიზანი დაკავებული ადგილის შენარჩუნება იქნება.

**ზურაბ მიგრიაული**

| | | |
|---|---|---|
| 1 | სამხრეთ აფრიკა | 90.81 |
| 2 | ახალი ზელანდია | 89.59 |
| 3 | არგენტინა | 87.42 |
| 4 | ავსტრალია | 84.20 |
| 5 | ინგლისი | 83.83 |
| 6 | საფრანგეთი | 82.13 |
| 7 | ირლანდია | 78.30 |
| 8 | უელსი | 76.79 |
| 9 | ფიჯი | 75.88 |
| 10 | შოტლანდია | 74.70 |
| 11 | იტალია | 73.01 |
| 12 | სამოა | 71.61 |
| 13 | ტონგა | 71.51 |
| 14 | საქართველო | 67.25 |
| 15 | კანადა | 67.25 |
| 16 | რუმინეთი | 66.01 |
| 17 | რუსეთი | 65.88 |
| 18 | იაპონია | 65.35 |
| 19 | აშშ | 64.68 |
| 20 | ურუგვაი | 63.18 |
| 21 | ესპანეთი | 62.30 |
| 22 | პორტუგალია | 60.06 |
| 34 | ჩეხეთი | 51.92 |

## ჯონი ათასს გასცდა

ჯონი უილკინსონის იტალიასთან რაგბობა სათუო იყო, მაგრამ სადისციპლინო კომიტეტმა ინგლისელ გამთამაშებელს უელსთან შეხვედრაში ხულიგნურად მოქნეული მუშტი აპატია. ჰოდა, „ვილკომაც" რომში თავი არ შეირცხვინა. მან მატჩში ორ გარდასახვას და სამ საჯარიმოს მოუყარა თავი, რითაც საკუთარი ქულათა მარაგი ათასიან ზღვარს გადააცილა. ახლა ჯონი ყველა დროის საუკეთესო მექულეებში მეორე ადგილზე იმყოფება უელსელი ნილ ჯენკინსის შემდეგ. ჯენკინსმა აქტიურ რაგბს თავი უკვე დაანება, ჯონი კი ისევ ჯანზეა და პირველკაცობას 35 ქულა უკლია.

**ზურაბ მიგრიაული**



**ათი საუკეთესო მექულე**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ნილ ჯენკინსი (უელსი) | 1090 |
| 2. | ჯონი უილკინსონი (ინგლისი) | 1056 |
| 3. | დიეგო დომინგესი (იტალია) | 983 |
| 4. | ენდრიუ მერთენსი (ახ. ზელანდია) | 967 |
| 5. | მაიკლ ლაინაგი (ავსტრალია) | 911 |
| 6. | მეტ ბერკი (ავსტრალია) | 878 |
| 7. | პერსი მონტგომერი (სამხ. აფრიკა) | 873 |
| 8. | რონან ოჰარა (ირლანდია) | 801 |
| 9. | გევინ ჰესტინგსი (შოტლანდია) | 733 |
| 10. | დენ კარტერი (ახ. ზელანდია) | 676 |




მარკ ლივერმონი

## ლივერმონის ორმაგი სიამაყე
### ვენსან კლერკი ზეშედეგიანია

საფრანგეთის ნაკრების დამრიგებელი მარკ ლივერმონი აღფრთოვანებულია თავისი ბიჭების თამაშით. მან ირლანდიასთან ექვსი ერის მატჩის დასრულების შემდეგ ასეთი კომენტარი გააკეთა: „მეამაყება, როცა ჩემი მორაგბეების გარჯას ვუყურებ. ისინი ხომ ჯერ კიდევ ახალგაზრდები არიან და ამიტომ ორმაგად სასიხარულოა ირლანდიასთან ასეთ დაძაბულ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება. მართალია, მეორე ტაიმის ბოლოს ცოტა შევშინდი, მაგრამ, ვფიქრობ, მაინც კარგად შევინარჩუნეთ უპირატესობა. გპირდებით, მომავალში თამაშის ხარისხს უფრო გავაუმჯობესებთ".

ფრანგთა 11-მა ნომერმა ვენსან კლერკმა „სამყურებს" პირველ ნახევარში სამი ლელო გაუტანა, რითაც „მამლების" კიდევ ერთ ეფექტურ გამარჯვებას ჩაუყარა საფუძველი. უკვე მეორე შეხვედრაა, კლერკი ძალიან შედეგიანად ბურთაობს. მან შოტლანდიელებსაც დაუდო ორი ლელო. ვინსენმა BBC-ს ჟურნალისტთან ინტერვიუში შაბათის მატჩის პერიპეტიებზე ისაუბრა: „ეს ჯახი ჩემთვის განსაკუთრებული იყო, იმიტომ, რომ პირველ ტაიმში მშვენივრად ვითამაშეთ, დიდი უპირატესობაც მოვიპოვეთ, მეორე ტაიმში კი თითქოს ყველაფერი ხელიდან გვეცლებოდა. კოლოსალური შრომა კინაღამ წყალს გავატანეთ. არც არის გასაკვირი, ახალგაზრდა გუნდი ვართ და გვიჭირს მთელი შეხვედრის მაღალ დონეზე ჩატარება. ჩვენ ბურთი ხშირად გვქონდა და, დროის გაყვანის მიზნით, ფეხით ვთამაშობდით. ჩვენი დარტყმულები ირლანდიელებს უვარდებოდათ ხელში და ამიტომ გვიწევდა თავის დაცვა. ცოტა გაგვიმართლა კიდეც ამ შეხვედრაში. პირადად მე ბედნიერი ვარ, სამი ლელო რომ გავიტანე".

**ზურაბ მიგრიაული**

# მორგენშტერნის მეათე და იაკობსენის პირველი


ანდერს იაკობსენი

**გასულ** უქმეებზე ჩეხური ლიბერაცის დიდ ტრამპლინზე, მსოფლიოს თასის გათამაშების მორიგი ეტაპი გაიმართა. პირველ დღეს საუკეთესო იყო სეზონის უპირობო ლიდერი, ავსტრიელი ტომას მორგენშტერნი, რომელმაც გადამწყვეტი უპირატესობა პირველივე ნახტომისას მოიპოვა, როდესაც 132 მეტრზე გაფრინდა.

მორგენშტერნისთვის ეს ამ სეზონში მოპოვებული მეათე გამარჯვება იყო და ეჭვი აღარავის ეპარება, რომ გენერალური კლასიფიკაციის გამარჯვებულის სარგო დიდი ბროლის გლობუსი, სწორედ მას, ტურინის ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონს დარჩება.

მორგენშტერნმა წლეულს მეათე ტრიუმფი გადაიხადა, მსოფლიოს თასის მოქმედი მფლობელის, ნორვეგიელი ანდრეს იაკობსენისთვის კი ლიბერეცულ ტრამპლინზე მოპოვებული გამარჯვება სეზონში პირველი იყო. დიახ, მთელი ზამთარი ჩრდილში მყოფმა იაკობსენმა მეორე დღეს ყველას აჯობა და აქ გადამწყვეტი მეორე ნახტომი აღმოჩნდა, როდესაც ნორვეგიელმა 130-მეტრიან ნიშნულს უწია.

დღის ყველაზე შორეული ნახტომი ავსტრიელ მარტინ კოხს ჰქონდა. პირველ ცდაზე ის 132,5 მეტრზე გაფრინდა, მაგრამ მეორე ცდაზე 124 მეტრს დასჯერდა და იაკობსენის გარდა, წინ ჭაბუკი თანამემამულე გრეგორ შლირენცაუერიც გაუშვა. შლირენცაუერი პირველ დღესაც მეორე იყო და საერთო ჩათვლაშიც მეორეა — 59 ქულას უგებს მესამე ადგილზე მყოფ ფინელ დიდოსტატ იანე აჰონენს.

**მსოფლიოს თასი. ლიბერეცი. ჩეხეთი. 8-9 თებერვალი**

**პირადი. HS 134**

| | |
|---|---|
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 272,4 ქულა (132,0 მ და 128,5 მ) |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 268,1 (130,5 და 129,0) |
| 3. ანდრეას კუეტელი (შვეიცარია) | 260,8 (128,0 და 130,5) |
| 4. იანე აჰონენი (ფინეთი) | 258,8 (127,5 და 128,5) |
| 5. ანდერს ბარდალი (ნორვეგია) | 255,7 (124,5 და 129,5) |

**პირადი. HS 134**

| | |
|---|---|
| 1. ანდერს იაკობსენი (ნორვეგია) | 262,3 ქულა (128,5 მ და 130,0 მ) |
| 2. გრეგორ შლირენცაუერი (ავსტრია) | 258,4 (127,0 და 128,5) |
| 3. მარტინ კოხი (ავსტრია) | 258,2 (132,5 და 124,0) |
| 4. სიმონ ამანი (შვეიცარია) | 256,2 (129,5 და 127,0) |
| 5. იანე აჰონენი (ფინეთი) | 255,6 (129,0 და 125,5) |

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ტომას მორგენშტერნი (ავსტრია) | 1587 ქულა |
| 2. გრეგორ შლირენცაურეი (ავსტრია) | 999 |
| 3. იანე აჰონენი (ფინეთი) | 940 |
| 4. ტომ ჰილდე (ნორვეგია) | 881 |
| 5. ვოლფგანგ ლოიტცლი (ავსტრია) | 656 |



**მალტის თასი. ლა ვალეტა. 4-10 თებერვალი**


ეროვნული ბიბლიოთეკა

# მერფიმ მალტა არ დათმო

**25 წლის** ინგლისელის, მსოფლიოს 2005 წლის ჩემპიონის, შონ მერფის გამარჯვებით დასრულდა ელიტარულ სნუკერისტთა მორიგი შეჯიბრი, წლეულს არასარეიტინგო, მაგრამ უაღრესად პოპულარული მალტის თასი.

მერფიმ მალტაზე შარშანაც იმარჯვა. მაშინ ეს შეჯიბრი სარეიტინგო იყო და შესაბამისად, მერფისთვის კარიერაში მეორე სარეიტინგო ტიტულად ჩაიწერა.

წლეულს, როგორც ვთქვით, ხმელთაშუა ზღვის პატარა კუნძულის ტურნირმა სარეიტინგოს სტატუსი დაკარგა, მაგრამ მერფის განწყობაზე ამას ცუდად ნამდვილად არ უმოქმედია. უაღრესად რთულ ჯგუფში მან ოთხივე მეტოქე — სტივ ჰენდრი, სტივ მაგუაერი, მარკ სელბი, ტონი დრეგო — დაამარცხა ფრეიმების ჯამური სხვაობით, 19:5. შონს ყველაზე მეტად ნახევარფინალში გაუჭირდა — საწყისი სამი ფრეიმის შემდეგ 0:3-ს აგებდა 20 წლის უნიჭიერეს ჩინელთან, დინ ჯუნხუსთან, მაგრამ ეს ჩამორჩენა ტურნირისთვის სარეკორდო, 137-ქულიანი ბრეიკით გატეხა და შემდეგ კი, უკვე მეტოქეც გატეხა, 6:5 მოიგო და ფინალს უწია.

გადამწყვეტ შეხვედრაში მერფის მეტოქე 38 წლის ირლანდიელი, მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი და მალტური შეჯიბრის შარშანწინდელი გამარჯვებული კენ დოჰერტი იყო, რომელმაც ჯგუფში ასევე ყველა მეტოქე დაამარცხა და ნახევარფინალში კი 6:2 გადაუარა მსოფლიოს მოქმედ ჩემპიონს, შოტლანდიელ ჯონ ჰიგინსს.

დოჰერტი და მერფი 2007-08 წლების სეზონის სტარტზე, ერთი არასარეიტინგო შეჯიბრის ფინალში უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. ეს „პოტ ბლექ კაპზე“ მოხდა და მაშინ ირლანდიელმა იმარჯვა. ამჯერად ინგლისელმა სრული რევანში აიღო. მართალია, პირველი ფრეიმი 91-ქულიანი ბრეიკით დოჰერტის დარჩა, მაგრამ შემდეგ მან უამრავი შეცდომა დაუშვა და მერფიმ ამით აუღელვებლად ისარგებლა — 9:3 და შონ მერფი ზედიზედ მეორედ გახდა მალტის თასის მფლობელი.

მალტის თასის გათამაშება კვირას დასრულდა, უკვე გუშინ კი მორიგი შეჯიბრი, ამჯერად უკვე სარეიტინგო უელსის ღია პირველობა გახურდა, რომელშიც სნუკერისტთა მთელი ელიტა მონაწილეობს მალტაში არჩასული რონი ოსალივანის თამადობით. გუშინ საქმეში მეორე ეშელონის ხალხი ჩაება, ხოლო რეიტინგის 16 მოწინავე მეორე წრიდან დაიწყებს თამაშს.



# კლასიკური ამბავი

**ბარის** მოთხილამურეებმა თავიანთი მსოფლიოს თასის მორიგი ეტაპი ესტონურ ოტეპააში ჩაატარეს. ეტაპის პროგრამაში მხოლოდ კლასიკური სტილით რბოლები იყო — ინდივიდუალური და სპრინტი.

ინდივიდუალურ რბოლებში სეზონის ლიდერებმა იპირველეს და თავიანთი მოწინავე პოზიცია კიდევ უფრო განიმტკიცეს — კაცთა 15-კილომეტრიან შეჯიბრში ჩეხ ლუკას ბაუერს არ ჰყავდა ბადალი, ხოლო ქალთა 10 კილომეტრზე ფინელი ვირპი კუიტუნენი იყო პირველი.

სპრინტერულ დისტანციებზეც ფავორიტებმა იმარჯვეს. კაცებში პირველი სამი ადგილი ამ საქმის დიდოსტატმა ნორვეგიელებმა დაიკავეს, ქალებში კი სლოვენიელმა პეტრა მაიდიჩმა ერთხელაც დაამტკიცა, რომ მოკლე გზაზე ძალიან მაგარია.

საერთო ჩათვლაში ბაუერი უკვე იმხელა უპირატესობით ლიდერობს, რომ წყალი არ გაუვა, მსოფლიოს თასი სწორედ მას დარჩება. ესტონური ეტაპის შემდეგ კუიტუნენმაც გვარიანად გასწრო მეორე ადგილზე მყოფ ახალგაზრდა შვედ შარლოტა კალას და დიდი შანსია, ამ წუთში მის მფლობელობაში მყოფი დიდი ბროლის გლობუსი არც არავის დაუთმოს.

**მსოფლიოს თასი. ოტეპაა. ესტონეთი. 9-10 თებერვალი**

**კაცები**

**15 კმ. ინდივიდუალური. კლასიკური**

| | |
|---|---|
| 1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) | 39 წთ 29,4 წმ |
| 2. იააკ მაე (ესტონეთი) | 39.43,1 |
| 3. ვილე ნოუსიაინენი (ფინეთი) | 40.34,6 |
| 4. ანდრუს ვეერპალუ (ესტონეთი) | 40.40,2 |
| 5. ოდ-ბიორნ ჰელმესეტი (ნორვეგია) | 40.43,8 |

**სპრინტი. 1,4 კმ. კლასიკური**

1. ეიდარ რონინგი (ნორვეგია); 2. იონ კრისტიან დალი (ნორვეგია); 3. ოლე ვიგენ ჰატესტადი (ნორვეგია); 4. ემილ იონსონი (შვედეთი); 5. პეტერ კუმლერი (ესტონეთი)

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ლუკაშ ბაუერი (ჩეხეთი) | 916 ქული |
| 2. რენე ზომერფელდი (გერმანია) | 621 |
| 3. ტორ არნე ჰეტლანდი (ნორვეგია) | 576 |
| 4. აქსელ ტაიჰმანი (გერმანია) | 538 |
| 5. ჯორჯო დი ჩენტა (იტალია) | 467 |

**ქალები**

**10 კმ. ინდივიდუალური. კლასიკური**

| | |
|---|---|
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 28 წთ 10,5 წმ |
| 2. აინო კაისა საარინენი (ფინეთი) | 28.19,8 |
| 3. ტერეზა იოჰაუგი (ნორვეგია) | 28.28,1 |
| 4. კლაუდია ნისტადი (გერმანია) | 28.29,5 |
| 5. ჟუსტინა კოვალჩუკი (პოლონეთი) | 28.38,5 |

**სპრინტი. 1,4 კმ. კლასიკური**

1. პეტრა მაიდიჩი (სლოვენია); 2. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია); 3. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი); 4. აინო კაისა საარინენი (ფინეთი); 5. სერაინა მიშოლი (შვეიცარია)

**საერთო ჩათვლა**

| | |
|---|---|
| 1. ვირპი კუიტუნენი (ფინეთი) | 979 ქულა |
| 2. შარლოტა კალა (შვედეთი) | 830 |
| 3. ასტრიდ იაკობსენი (ნორვეგია) | 770 |
| 4. ჟუსტინა კოვალჩუკი (პოლონეთი) | 729 |
| 5. არიანა ფოლისი (იტალია) | 723 |



# რეგულარული ჩემპიონატი

10 თებერვალი

**პიტსბურგი 4:3 ფილადელფია**

*1:1 2:0 1:2*

0:1 ამბერგერი (7), 1:1 სიკორა (17), 2:1 გონჩარი (21), 3:1 მალკინი (39), 3:2 ამბერგერი (41), 4:2 ლეტანგი (53), 4:3 ჰარტნელი (60)

**ვაშინგტონი 3:2 რეინჯერსი**

*1:1 1:1 0:0 1:0 (ოვერტაიმში)*

1:0 ოვეჩკინი (3), 1:1 ეივრი (8), 1:2 დრური (30), 2:2 გორდონი (40), 3:2 გრინი (61)

**დეტროიტი 2:3 ანაჰაიმი**

*1:1 0:2 1:0*

1:0 დაციუკი (15), 1:1 კარტერი (18), 1:2 შნაიდერი (29), 1:3 ჰესკინსი (36), 2:3 ფრენზენი (47)

**კოლუმბუსი 2:3 ლოს ანჯელესი**

*1:1 1:1 0:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*

0:1 კოპიტარი (1), 1:1 ჰეინსი (6), 1:2 კოპიტარი (30), 2:2 ნეში (37)

**სენტ ლუისი 1:2 მინესოტა**

*1:1 0:0 0:0 0:0 (0:1 ბულიტებით)*

0:1 გაბორიკი (6), 1:1 კარია (13)

**ბუფალო 5:3 ფლორიდა**

*0:1 3:1 2:1*

0:1 მეზეი (6), 1:1 კალეტა (25), 2:1 პომინვილი (32), 3:1 როი (34), 3:2 იოკინენი (40), 3:3 ჰორტონი (41), 4:3 ვანეკი (50), 5:3 როი (59)

**ფინიქსი 3:6 ნეშვილი**

*1:3 2:0 0:3*

0:1 ბონკი (5), 0:2 ლეგვანდი (12), 0:3 არნოტი (14), 1:3 დოანი (19), 2:3 ვინიკი (28), 3:3 ჯოვანოვსკი (36), 3:4 დიუმონი (46), 3:5 პევერლი (46), 3:6 ჟელინა (60)

**ვანკუვერი 3:2 ჩიკაგო**

*0:0 1:0 1:2 0:0 (1:0 ბულიტებით)*

1:0 ბაროუ (22), 1:1 შარპი (46), 1:2 ბარკერი (56), 2:2 ნესლუნდი (59)


პიტსბურგელებმა, კრის ლეტანგმა (№58) და ევგენი მალკინმა გამარჯვება ასე აღნიშნეს

# ლატვალამ წლები დათვალა


იარი-მატი ლატვალა და მისი შტურმანი მიკა ანტილა

**კარლსტადის** შემოგარენში, შვედეთის თოვლიან გზებზე, მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე ეტაპი 22 წლის ფინელი იარი-მატი ლატვალას გამარჯვებით დასრულდა, ასე ახალგაზრდას კი მორალეთა ჩემპიონატების ეტაპი არასოდეს მოუგია.

ძველი რეკორდსმენიც ფინელი იყო — 28 წლის წინ, 1980 წელს, ჰენრი ტოივონენმა თავისი პირველი გამარჯვება 24 წლის ასაკში მოიპოვა და აი, თანამემამულის მიღწევა ლატვალამ თავისი „ფორდ ფოკუსით" გააუმჯობესა.

შვედეთის რალი, საერთოდ, უაღრესად სპეციფიკურია. როგორც წესი, მას მხოლოდ სკანდინავიელები იგებენ ხოლმე — მასპინძელი შვედები, რალის დიდოსტატი ფინელები და ნორვეგიელები. ამ ოთხი წლის წინ სებასტიენ ლოებმა სცადა ჩრდილოელთა ჰეგემონიის დამხობა, შვედეთში ყველას აჯობა და იმ სეზონში თავისი პირველი საჩემპიონო ტიტულიც მოიპოვა. ამის მიუხედავად, ლოებს დიდად არ უყვარს შვედეთის თოვლიანი გზები და ეს ამ ჯერზეც კარგად გამოჩნდა, როდესაც მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი პირველივე დღეს ამოტრიალდა და შეჯიბრს გამოეთიშა.

პირველი სპეცმონაკვეთი ნორვეგიელმა ექსჩემპიონმა პეტერ სოლბერგმა კი მოიგო, მაგრამ შემდეგ ლატვალას ჯერი დადგა — ახალგაზრდა ფინელმა მიყოლებით ექვს სპეცმონაკვეთზე იპირველა, ლიდერობა ხელთ იგდო და ბოლომდე ახლოს არავინ გაიკარა.

ბოლოსკენ ფეხი მეორე სოლბერგმა, ჰენინგმაც გამოყო და დასკვნითი ოთხი დოპი მოიგო, მაგრამ მანამდე არსებული კატასტროფული ჩამორჩენა ველარ ამოქაჩა და ფინიშს ოდენ მეცამეტემ უწია.

ისევე, როგორც სეზონის პირველ, მონტე კარლოს რალიზე, ამჯერადაც მეორე იყო ლატვალას თანაგუნდელ-თანამემამულე მიკო ჰირვონენი და შედეგად, გენერალურ კლასიფიკაციაში სწორედ ის დაწინაურდა.

მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგი ორი ეტაპი კი ატლანტის ოკეანის გაღმა გაიმართება — რალის ქარავანს ჯერ მექსიკა უმასპინძლებს 28 თებერვლიდან 2 მარტამდე, შემდეგ კი — არგენტინა 27-დან 30 მარტამდე.

**კახა ლომაძე**

## WRC მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
## II ეტაპი. 57-ე შვედეთის რალი

| | |
|---|---|
| 1. იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, „ფორდი") | 2 სთ 46 წთ 20,0 წმ |
| 2. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, „ფორდი") | +58,3 წმ |
| 3. ჯიჯი გალი (იტალია, „სუბარუ") | +2.23,2 |
| 4. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „ფორდი") | +2.59,4 |
| 5. ანდრეას მიკელსენი (ნორვეგია, „ფორდი") | +5.46,0 |
| 6. დანი სორდო (ესპანეთი, „სიტროენი") | +7.13,1 |
| 7. ტონი გარდემაისტერი (ფინეთი, „სუძუკი") | +10.35,3 |
| 8. იუჰო ჰანინენი (ფინეთი, „მიცუბიში") | +12.27,5 |

### საერთო ჩათვლა

12. ჰირვონენი 16 ქულა; 2-3. ლატვალა, სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი) 10-10; 4-5 გალი, პ. სოლბერგი 9-9; 6. კრის ატკინსონი (ავსტრალია, „სუბარუ") 6; 7. ფრანსუა დიუვალი (ბელგია, „ფორდი") 5; 8. მიკელსენი 4; 9. სორდო 3; 10. გარდემაისტერი 2

### კონსტრუქტორთა თასი

1. ფორდი 26 ქულა; 2 სუბურუ 16; 3. სიტროენი 15; 4. სუძუკი 5

### შვედეთის რალის გამარჯვებულები 1991 წლიდან

1991 კენეტ ერიქსონი (შვედეთი, „მიცუბიში")
1992 მატს იონსონი (შვედეთი, „ტოიოტა")
1993 მატს იონსონი (შვედეთი, „ტოიოტა")
1994 ტომას რადსტრომი (შვედეთი, „ტოიოტა")
1995 კენეტ ერიქსონი (შვედეთი, „მიცუბიში")
1996 ტომი მაკინენი (ფინეთი, „მიცუბიში")
1997 კენეტ ერიქსონი (შვედეთი, „სუბარუ")
1998 ტომი მაკინენი (ფინეთი, „მიცუბიში")
1999 ტომი მაკინენი (ფინეთი, „მიცუბიში")
2000 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, „პეჟო")
2001 ჰარი როვანპერა (ფინეთი, „პეჟო")
2002 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, „პეჟო")
2003 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, „პეჟო")
2004 სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი")
2005 პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ")
2006 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, „ფორდი")
2007 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, „ფორდი")
2008 იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, „ფორდი")



# ქალური რეკორდები კალურისა და რუსებისგან

**ზამთრულისა** და თბილი ამინდების მოლოდინში, დარბაზებში შეყუჟულმა მძლეოსნებმა გასულ უქმეებზე გვარიანად იხალისეს და ჭერქვეშა სარბიელისთვის რამდენიმე მსოფლიოს რეკორდიც დაამყარეს.

შვედმა კალია-ქალმა სუზანა კალურმა გერმანულ კარლსრუეში გამართულ შეჯიბრზე ბარიერებიანი 60 მეტრი 7,68 წამში გალია და ერთბაშად 11 მეასედი ჩამოაკლო ძველ რეკორდს, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს, 1990 წელს დაამყარა შემდგომში შვედეთში წასულმა ლუდმილა ნაროჟილენკომ, სკანდინავიაში ენკვისტად წოდებულმა.


სუზანა კალური

კარლსრუეში კიდევ რამდენიმე მაღალი შედეგი იქნა ნაჩვენები. ხორვატი ბლანკა ვლასიჩი ამ ჯერზეც აცილდა ორმეტრიან თამასას — 202 სანტიმეტრს გადაევლო, უბერებელმა მოზამბიკელმა ძუ ავაზამ, მარია მუტოლამ 800 მეტრი წუთსა და 59,48 წამში გაირბინა, კუბელმა დაირონ რობლესმა კი კაცთა 60 მეტრზე თარჯრბენში 7,40 წამი აჩვენა.

ორი მსოფლიოს რეკორდი დამყარდა რუსეთის ჭერქვეშა ჩემპიონატზე. მთავარი გმირი ელენა სობოლევა იყო, რომელმაც 1500 მეტრი 3 წუთსა და 58,05 წამში გალია და 0,23 წამი ჩამოაკლო თავისივე ძველ მიღწევას. მანამდე სობოლევამ 800 მეტრზეც იპირველა და თანაც, რუსეთის რეკორდით — 1.56,49.

მეორე მსოფლიოს რეკორდი რუსმა ქალებმა არაპოპულარულ, 4x800 მეტრზე ეტსაფეტაში დაამყარეს — ევგენია ზინუროვამ, ოლგა კოტლიაროვამ, მარინა სავინოვამ და ნატალია იგნატოვამ ჯამური 3200 მეტრის გარბენას 8 წუთი და 14,53 წამი მოანდომეს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კოტე ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორღოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლარიშვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00
რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge